

# ახალი განათლება

4 – 10 თებერვალი
ფასი 1 ლარი 70 თეთრი
№3 (717) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

## მარტივია ეთანხმებოდე ვაჟას, მაგრამ რთულია გულწრფელად იზიარებდე მის ნაფიქრს



გვერდი 4

„... თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე.ი. ბედნიერი თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია. ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება. მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.“

ვაჟა-ფშაველა

„ახალი განათლების სტუმარია“
სალომე რაზიკაშვილი

სქემის მიმდინარეობა

## განვლილი პირველი ეტაპი თანმხლები სირთულეებითა და დამაიმედებელი ტენდენციებით



გვერდი 2




სერიის ფასი – 17.70ლ

### ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

### ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით. წიგნებში მოცემულია: სახალისო აქტივობები, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი საბავშვო ტექსტები, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელსა თუ მშობლებს, განუვითარონ ბავშვებს წერის, კითხვისა და მეტყველების უნარ-ჩვევები.



სერიის ფასი – 30.40ლ

### სიახლე

წიგნის თარო

### მოემზადეთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ Facebook გვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

გაიხსენეთ თეორიული მასალა ამ წიგნის მიხედვით და მოაწყვეთ საატესტატო გამოცდების სიმულაცია სახლში!




თითოეული კრებულის ფასი – 9.90ლ


CMYK

სქემის მიმდინარეობა

# განვლილი პირველი ეტაპი თანმხლები სირთულეებითა და დამაიმედებელი ტენდენციებით



**2015-16 სასწავლო წელს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა ამოქმედდა და საპილოტე წელი პედაგოგებისთვის ბევრი სიახლით დაიწყო. როგორ წარიმართა სქემით გათვალისწინებული აქტივობები, რა სირთულეები გამოიკვეთა და სასწავლო წლის დასრულებამდე კიდევ რა აქტივობების განხორციელება იგეგმება, ამის შესახებ გვესაუბრება უწყვეტი პროფესიული განათლებისა და კარიერული წინსვლის პროგრამის ხელმძღვანელი ირინა სამსონია.**

**– რა აქტივობების განხორციელებას გულისხმობდა სქემის საპილოტე წელი და რა ეტაპია ახლა?**

– სქემის პირველი წლის აქტივობები დაიწყო იმით, რომ სკოლებმა აირჩიეს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორები, შექმნეს შიდა შეფასების ჯგუფები, ფასილიტატორები ზედამხვედველობას უწევდნენ მასწავლებლებს, რომ თვითშეფასების კითხვარი შეევსოთ. ისინი მუშაობენ მასწავლებლებთან როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად და ეხმარებიან პროფესიული განვითარების დაგეგმვაში.

**– გაამართლეს თუ არა შერჩეულმა ფასილიტატორებმა?**

– ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია, ამასთან ნაადრევიცაა. ამ ეტაპზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაგეგმა და ჩაუტარა ტრენინგები სქემაში ჩართული ყველა საჯარო და კერძო სკოლის ფასილიტატორებს. ამ ტრენინგების მიზანი იყო მათი მომზადება თვითშეფასებაში, რათა სათანადო დახმარება გაეწიათ თავიანთი პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლებისთვის სქემის ამოქმედების პირველ ეტაპზე, თვითშეფასების პროცესში. რამდენად გაამართლეს არჩეულმა ფასილიტატორებმა, ამაზე პასუხს გაგვცემს სკოლის შიდა მონიტორინგის შედეგები, რომლის მიხედვითაც სკოლები მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს ადგილზე, ასევე ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევები და შიდა შეფასების პროცესის მონიტორინგის შედეგები.

**– რა სიახლით დაიწყო 2016 წელი მასწავლებლებისთვის?**

– მნიშვნელოვანი სიახლეა – გამოიცა გზამკვლევის მეორე ნაწილი, რომელიც მთლიანად სქემით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებასა და მათ შეფასებას ეთმობა.

გზამკვლევის II ნაწილის ძირითადი თემა შიდა სასკოლო შეფასებაა. იგი უფრო კონკრეტულ რეკომენდაციებს სთავაზობს მასწავლებლებს სქემით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი აქტივობების განსახორციელებლად, ხოლო მასწავლებლის შეფასების ჯგუფებს – შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით. გზამკვლევი განკუთვნილია სქემაში ჩართული ყველა საჯარო თუ კერძო სკოლისთვის, კერძოდ კი, მასწავლებლებისთვის, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორებისთვის, მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრებისთვის, სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის და, რა თქმა უნდა, განათლების სფეროში მოღვაწე ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა კარგად გაიაზრონ, რას გულისხმობს სქემით გათვალისწინებული ესა თუ ის აქტივობა, რა არის მათი დანიშნულება. გზამკვლევი სწორედ მათი განხორციელებისათვის საჭირო რეკომენდაციებს იძლევა.

გარდა ამისა, გზამკვლევი აწვდის მკითხველს კონკრეტულ ინფორმაციას, თუ რა სახის და რა შინაარსის შემცველი დოკუმენტაცია უნდა განათავსოს მან საკუთარ პროფესიულ საქაღალდეში, რომ სტატუსის შესანარჩუნებლად ან უფრო მაღალი სტატუსის მოსაპოვებლად საჭირო კრედიტქულები დააგროვოს. შიდა საგაკვეთილო დაკვირვების ნაწილში, ამ ეტაპზე, ვეხებით მხოლოდ სამოდელო გაკვეთილის შეფასებას, აღვწერთ შესაბამის პროცედურებს, ასევე წარმოვადგენთ სამოდელო გაკვეთილის ტიპოლოგიას, მათ დეტალურ აღწერილობას, მახასიათებლებს და შეფასების რუბრიკას სათანადო განმარტებებით. დეტალურადაა განხილული ყველა ტიპის სამოდელო გაკვეთილი. ეს მართლაც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მასწავლებლებისთვის, რადგან განმარტებულია თითოეული ტიპის სამოდელო გაკვეთილი – როგორ იბადება იდეა, როგორ ესხმება მას ხორცი და ბოლოს როგორ ხდება მათი შეფასება.

გზამკვლევში დაწვრილებითი ინფორმაციაა იმის შესახებ, როგორ განახორციელონ აქტივობები, მაგალითად, პრაქტიკის კვლევა, რომელიც, თავისთავად, მორგებულია მასწავლებლების ამ ეტაპზე არსებულ შესაძლებლობებზე. და, რა თქმა უნდა, რუბრიკა, რომლითაც შეფასდება ეს კვლევები. ასევე, მოცემულია სასწავლო რესურსის ტიპები და მათი შეფასების რუბრიკა, რეკომენდაციები იმის შესახებაც, თუ როგორ უნდა შექმნას მასწავლებელმა პროფესიული ლიტერატურა, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სასწავლო მეთოდური სტატია, რას ნიშნავს სტუდენტებისა თუ მასწავლებლების კონსულტირება და ა.შ.

როგორც უკვე აღვნიშნე, მასწავლებლებსა და შეფასების ჯგუფის წევრებს გზამკვლევი სთავაზობს აქტივობების შეფასების სტანდარტიზებულ კრიტერიუმებსა და რუბრიკებს. მათი გამოყენებით მასწავლებლის შეფასების ჯგუფი სკოლის დონეზე შეაფასებს თითოეულ პედაგოგს და წამყვანი მასწავლებლების (მომავალში – მენტორისაც) სამოდელო გაკვეთილს, ასევე თითოეული მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეს. გარდა ამისა, ვფიქრობთ, ეს ინსტრუმენტები და მათი განმარტებები დაეხმარება მასწავლებლებს იმის განსაზღვრაში, რომელი აქტივობის განსახორციელებლად არიან ისინი მზად მოცემულ ეტაპზე, ასევე ამ აქტივობების ხარისხიანად დაგეგმვასა და განხორციელებაში.

თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია შესაბამისი კრედიტქულა, ჩამოთვლილია და ზუსტადაა გაწერილი დოკუმენტაცია, რომელიც უნდა წარმოადგინოს მასწავლებელმა იმის დასადასტურებლად, რომ რეალურად განახორციელა ეს აქტივობა.

**– დავუბრუნდეთ ისევ სქემის მიხედვით გათვალისწინებულ თქვენს შემდეგ აქტივობას, რომელი აქტივობა იგეგმება უახლოეს მომავალში?**

– ახლა ვიწყებთ მასწავლებლის შეფასების ჯგუფების (მოგეხსენებათ, რომ შეფასების ჯგუფები სკოლებში უკვე ფუნქციონირებენ) გადამზადებას მასწავლებლის პროფესიული საქაღალდის შეფასების მიმართულებით. მოვამზადებთ მასწავლებლის შეფასების ჯგუფებს, როგორ გამოიყენონ ეს სტანდარტიზებული ინსტრუმენტები კონკრეტული აქტივობების შესაფასებლად იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც მასწავლებლების პროფესიულ საქაღალდეში განთავსებული იქნება განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში, ანუ eSchool-ში.

ეს იქნება ოთხდღიანი სატრენინგო კურსი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, მთლიანად დაეთმობა მასწავლებლის მიერ განხორციელებული საქმიანობების შეფასებას პროფესიულ საქაღალდეში განთავსებული დოკუმენტაციის საფუძველზე. ტრენინგების მომდევნო ეტაპი, მას შემდეგ, რაც მზად იქნება გაკვეთილზე დაკვირვების სტანდარტიზებული რუბრიკა, რომელზეც მუშაობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, დაეთმობა შიდა საგაკვეთილო დაკვირვებას.

მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დავიწყებთ დირექტორების გადამზადებას იმ მიმართულებით, თუ როგორ დაგეგმონ და განახორციელონ სკოლის შიდა მონიტორინგი. ეს ხელს შეუწყობს სწორად და შეუფერხებლად წარმართონ სქემით გათვალისწინებული საქმიანობები თავიანთ სკოლებში.

სასწავლო წლის ბოლოს გავაანალიზებთ და შევაჯერებთ ერთწლიან პროცესს, შევაჯამებთ, რა მდგომარეობაა სკოლებში სქემის დანერგვის თვალსაზრისით, რა პრობლემებმა იჩინა თავი, როგორ იმუშავა შეფასების სტანდარტიზებულმა ინსტრუმენტებმა და ა.შ. ამ მიზნით ჩატარდება მონიტორინგი მრავალი მიმართულებით, ასევე სხვადასხვა სახის კვლევები, რომელთა შედეგები სქემის საპილოტე წლის ერთგვარი შეჯამების საშუალებას მოგვცემს.

**– სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც მასწავლებელთა პროფესიული საქაღალდეები შეფასდება, უნდა ველოდოთ თუ არა სტატუსების მიხედვით ცვლილებებს?**

– დიდი ცვლილებები ნაკლებად მოსალოდნელია. ცვლილებები უფრო მეტად გამოცდების შედეგებით შეიძლება აისახოს, ვიდრე აქტივობებით დაგროვილი კრედიტებით. მომავალი სასწავლი წლიდან სტატუსებზე ცვლილებები უფრო თვალსაჩინო გახდება, რადგან ამოქმედდება შიდა და გარე დაკვირვება, ან თუნდაც იმის გამო, რომ მასწავლებელს რეალურად მეტი დრო ექნება სავალდებულო თუ დამატებითი აქტივობების განსახორციელებლად.

ვნახოთ, რას შეცვლის გამოცდების შედეგები. წელს საკმაოდ დიდი რაოდენობის მასწავლებელი დარეგისტრირდა საგნის გამოცდაზე, მათ შორის 700 – არამოქმედი, მაგრამ დარეგისტრირებული მასწავლებლებიდან, დაახლოებით, მხოლოდ 30 პროცენტი გავიდა გამოცდაზე. ჯერჯერობით, უცნობია რამდენმა ჩააბარა. შედეგები, სავარაუდოდ, თებერვლის შუა რიცხვებში გამოცხადდება.

**– აქამდე განხორციელებული აქტივობებიდან, სად იყო ყველაზე მეტი სირთულე? როგორ შეაფასებთ სქემის სტარტს და მის განვითარებას დღემდე?**

– ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა, ვფიქრობ, ამ ეტაპზე ნაადრევია. ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ეტაპი გავიარეთ, ესაა თვითშეფასების კითხვარების შევსება და ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შედგენა. თვითშეფასების პროცესს ახლდა გარკვეული სირთულეებიც, ზოგმა მასწავლებელმა დამოუკიდებლად ვერ გაართვა თავი კითხვარის შევსებას; იყო პროცესის ფორმალიზაციის ტენდენციაც, ადგილი ჰქონდა ასე ვთქვათ „კორუფციულ გარიგებებსაც", როცა ადამიანები ანაზღაურების საფასურად სთავაზობდნენ მასწავლებლებს თვითშეფასების კითხვარის შევსებას. თუმცა, ისიც ვიცით დანამდვილებით, რომ პედაგოგთა საკმაოდ დიდი ნაწილი კითხვარის შევსებას წარმატებით ართმევდა თავს – და ჩვენ ეს გვაიმედებს. ყველაფერი კი იმაზე მიგვანიშნებს, რაზე გავაკეთოთ მომავალში აქცენტები და საით მივმართოთ მეტი ძალისხმევა.

ხარვეზები, სავარაუდოდ, მომავალშიც იქნება და ამის არაღიარება, რა თქმა უნდა, არ იქნება სწორი. როცა სკოლაში რეალურად დაიწყება განხორციელება ყველა იმ სიახლისა, რომლებსაც სქემა გვთავაზობს, – ეს ყველაფერი მივა მასწავლებლებამდე, კონკრეტულ გაკვეთილამდე, აქტივობის შეფასებამდე და ასე შემდეგ, მაშინ დავინახავთ, სად გვაქვს პრობლემები. ჩვენ, რა თქმა უნდა, მზად უნდა ვიყოთ, რომ მყისიერად შევძლოთ მათი გამოსწორება.

**– სქემის საპილოტე წელი უფრო მეტად ინსტრუმენტების გამოცდის წელია?**

– დიახ, ინსტრუმენტების და პროცესების გამოცდის წელია. თუ დავინახავთ, რომ პროცესები ისე არ მიდის, როგორც სქემით იყო დაგეგმილი და გათვალისწინებული, ეს ჩვენი შემდგომი მოქმედების საუკეთესო მაჩვენებელი იქნება, ანუ გვიკარნახებს, სად არის პრობლემა, რომ მისი აღმოფხვრის გზები დავგეგმოთ.

**– რეალური სურათის, ანუ კვლევის შედეგების შემდეგ, რომლის განხორციელებასაც თქვენი ცენტრი გეგმავს, უნდა ველოდოთ თუ არა გარკვეული ტიპის ცვლილებებს სქემაში?**

– ამის შესახებ, აუცილებლად ვისაუბრებთ დეტალურად, რასაკვირველია, შედეგებზე დაყრდნობით. ამდენად, უნდა დაველოდოთ კვლევის შედეგებს. მერწმუნეთ, ეს ყველაზე მეტად, პირველ რიგში, ჩვენ გვაინტერესებს.

ჩვენი მიზანი სქემის მიხედვით გათვალისწინებული აქტივობების ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრობით შესრულებაა. წლის ბოლოს უნდა გვყავდეს გადამზადებულ მასწავლებელთა შეფასების ჯგუფები, რომლებიც ხარისხიანად შეაფასებენ მასწავლებელთა პროფესიულ საქაღალდეებს, ანუ მათ მიერ მთელი წლის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობებს. თითოეული აქტივობის გააზრებასა და განხორციელებაში მასწავლებლებს გზამკვლევი დაეხმარებათ, ხოლო შეფასების ჯგუფებს, მათი ხარისხიანად შეფასებისთვის, ჩვენ გადავამზადებთ. იმედი გვაქვს, წლის ბოლოს მასწავლებელთა შეფასების ჯგუფები ამისთვის მზად იქნებიან.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

ინფორმაცია

# ინფრასტრუქტურული პროექტები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელების მიზნით, 2015 წლის დეკემბერში, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა. კანონის იმპლემენტაციისთვის აუცილებელი სამუშაოები – უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ჯერ კიდევ 2013 წელს დაიწყო და, ამ მიზნით, 50 მილიონი ლარი გამოყო. ასეთი ფართომასშტაბიანი განახლებითი სამუშაოები ბოლო 30 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა. განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე, თამარ სანიკიძემ ჟურნალისტებს პრეზენტაცია წარუდგინა.

ექვსი მილიონ სამასი ათასამდე ლარია გამოყოფილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე სასწავლო კორპუსის, სამეცნიერო-სასწავლო ბიბლიოთეკისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის. მათ შორის ქიმიის მიმართულებით – ოთხი, ასევე, ფიზიკისა და მორფოლოგიის ინსტიტუტები. რაფაელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი **გია ტატიშვილი** მიიჩნევს, რომ 30 წლის პაუზის შემდეგ, პირველად მიეცათ საშუალება განეახლებინათ ბაზა აპარატურით, ქიმიური პრეპარატებითა და რეაქტივებით. *„ჩვენი ჩამორჩენა გარკვეულწილად დავძლიეთ, და რაც მთავარია, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ეს მომავალ წელსაც გაგრძელდება“.*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებისა და მის შემადგენლობაში შემავალი სასწავლო და კვლევითი დაწესებულებების რეაბილიტაციაზე ოთხი მილიონ ხუთასი ათასზე მეტი ლარი დაიხარჯება.

ხუთი მილიონ ოთხასი ათასზე მეტი დაიხარჯა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის რეაბილიტაციასა და აღჭურვაზე.

ცხრამეტი მილიონ ოთხასი ათასამდე ლარი გაიხარჯება სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებისა და კვლევითი დაწესებულებების რეაბილიტაციაზე. მათ შორისაა ბიოინჟინერიისა და აგრარული ფაკულტეტის შენობა, გამოთვლითი მათემატიკის ისნტიტუტი და კიდევ 7 სამეცნიერო კვლევითი ობიექტი.

**გიგა ფარცხავა**, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი: *„შენობა, ფაქტობრივად, დასრულებულია და უახლოეს დღეებში დაიწყება ლაბორატორიებისა და ავეჯის გადმოტანა, რომელიც უკვე შეძენილია და მხოლოდ ინსტალაცია და გამართვა სჭირდება. დაგეგმილი გვაქვს, მეორე სემესტრში სწავლა აქ დავიწყოთ.*

*რაც შეეხება პროექტის მნიშვნელობას, თავისუფლად შემიძლია გითხრათ, რომ კონკრეტული დარგის განვითარების ხელშეწყობისთვის განხორციელებული პროექტი არც კი მახსენდება. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა. ეს პროექტი, დაახლოებით, 10 მილიონი ლარი დაჯდა და აქედან ნაწილი ლაბორატორიების შეძენაზე დაიხარჯა, ნაწილი – შენობის რეაბილიტაციაზე. ჩვენთან ყველა ოთახი, აუდიტორია და ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, თუმცა, ეს ყველაფერი მაინც მხოლოდ დასაწყისია. რაც მთავარია, ჩვენ ყველას – დაწყებული პროფესურით და დამთავრებული სტუდენტებით – გვჯერა, რომ ეს დიდი საქმის დასაწყისია და უფრო სერიოზული ნაბიჯები მაინც წინ გვაქვს“.*

მილიონობით ლარია გამოყოფილი რეგიონებში მდებარე სახელმწიფო უნივერსიტეტების, მათ შორის სოხუმის უნივერსიტეტის რეაბილიტაციისათვის. ამ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, სამი წლის განმავლობაში, არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, მათ შორის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის სრული რეაბილიტაცია (ზუგდიდის მესხიას სახ. უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი). პროცესი დღესაც გრძელდება, სასწავლო კორპუსების რეაბილიტაცია-მოწყობა, ასევე აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთო საცხოვრებლის სრული რეაბილიტაცია. გარდა ამისა, ქუთაისში აშენდება სამეცნიერო და სასწავლო ბიბლიოთეკა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **მერაბ ბერიძე** ამბობს, რომ მეორე სემესტრიდან მათ სტუდენტებს საერთო საცხოვრებელში ცხოვრების შესაძლებლობა მიეცემათ: *„ყველაფერი თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს და ვფიქრობთ, ამით კიდევ უფრო მოვიზიდავთ სტუდენტებს. დარწმუნებული ვარ, მომავალში ჩვენს უნივერსიტეტს სტუდენტების რაოდენობა არ მოაკლდება.“*

2013 წლიდან რვა მილიონამდე ლარით დაფინანსდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აღჭურვასთან და სხვადასხვა ტექნიკის შეძენასთან დაკავშირებული პროექტები. 17 მილიონი ლარი დაიხარჯება ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის რესურსების მართვის საკვლევი ექსპერიმენტული ბაზის მოსაწყობად.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიიჩნევენ, რომ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებისა და ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული და აღჭურვითი სამუშაოების საფუძველზე, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში დღეისათვის არსებული მრავალი პრობლემა გადაიჭრება, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, სწავლების პროცესში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, არსებული სამეცნიერო პოტენციალის რეალიზება და მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა.

**თამარ სანიკიძე** აცხადებს, რომ: *„ზოგადად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევითი ისნტიტუტების ინფრასტრუქტურული და სარეაბილიტაციო სამუშაოები ნამდვილად წარმოადგენდა ჩვენს პრიორიტეტს. ის საკანონმდებლო ცვლილებები, რაც განვახორციელეთ მეცნიერების ორგანიზებასა და მართვის სისტემის გასამართად, საჭიროებს შესაბამის ინფრასტრუქტურას იმისთვის, რომ საბოლოოდ მოხდეს კვლევისა და მეცნიერების დაკავშირება განათლების კომპონენტთან და კვლევით ინსტიტუტებს საშუალება მივცეთ, თავიანთი პოტენციალი ახალგაზრდებს მოახმარონ. აქედან გამომდინარე, 2013 წლიდან დღემდე, დაახლოებით, 50 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და კვლევითი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.“*

სამინისტროს დაფინანსების გარდა, გაზრდილმა ბიუჯეტმა, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს საშუალება მისცა თავიანთი დაფინანსებითაც აწარმოონ ინფრასტრუქტურისა და სამეცნიერო ტექნიკური ბაზის განახლებითი სამუშაოები, რაც უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

კონკურსი უფროსკლასელთათვის

# „ზღაპრები და ლეგენდები ბებიას სკივრიდან“

## გახდი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი!

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საფუძველი ჩაუყარა უფროსკლასელთა კონკურსს სახელწოდებით **„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“.** წელს კონკურსი მეოთხედ იღებს სტარტს. თავად მიმართულების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ყოველწლიურად იცვლება კონკურსის თემატიკა. პირველად, 2012 წელს, კონკურსი ზოგად, გაცნობით ხასიათს ატარებდა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში კონკურსმა კონკრეტული ამოცანები დაისახა თემებით: **„ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“** და **„გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“.**

წელს საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელებს ვთავაზობთ კონკურსს თემაზე **„ზღაპრები და ლეგენდები ბებიას სკივრიდან“.**

### კონკურსის მიზანია:

❖ გამოავლინოს უხუცესების მეხსიერებაში შემონახული სხვადასხვა კუთხის უძველესი ზღაპრები და ლეგენდები, ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშები;

❖ გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;

❖ ჩართოს საქართველოს ახალი თაობა არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებასა და ფიქსაციაში;

❖ გაუღვივოს მათ ინტერესი წინაპრების კულტურისა და შემოქმედებისადმი.

### კონკურსი ჩატარდება ორ ტურად:

### პირველი ტური

გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც, სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა), საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

### თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

**1. ვორდის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;**
**2. მოსწავლეების მიერ მოთხრობილი ამბის მიხედვით ცალკე შესრულებულ (დახატული, გამოძერწილი, კონსტრუირებული და სხვ.) ილუსტრაციებს და მათი მაღალი ხარისხით გადაღებულ ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის). ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად jpg ფორმატში;**
**3. ელემენტზე მუშაობის ამსახველი ფოტომასალა, გადმოგზავნილი ასევე jpg ფორმატით;**
**4. ვორდის ფაილში დაწერილი ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს მონაწილის მიერ შესრულებული ილუსტრაციების ფოტოებით, რათა ნამუშევრების გადარჩევისას კომისიის წევრებს გაუადვილდეთ მათი შეფასება.**

<u>სასურველია</u> ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.

<u>სასურველია</u> მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

❖ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com,

❖ ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში,

❖ ან მოგვაწოდოს ფოსტით – „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, მისამართზე: თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5.

საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

### მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან კონკურსის გამარჯვებულის გამოსავლენად.

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

გამარჯვებული ავტორი (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდება საგანგებო სიგელით და მიიღებს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდებას. ნამუშევრები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“. გაშუქდება მასმედიით.

### საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება;*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელმისამართი);*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელელეფონი, ელმისამართი);*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);
7. ნიმუშის აღწერა.

***აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:***

❖ რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში (ზღაპარი, იგავი, თქმულება, ლეგენდა და ა.შ.) – *მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*

❖ ნიმუშის სახელწოდება *(აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*

❖ ნიმუშის ჩაწერის აღწერილობა – *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში და ვისგან აქვს მოსმენილი თავად მის მთხრობელს;*

❖ ტრადიციულად, რა დროს, რა შემთხვევაში ჰყვებოდნენ მას *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღწერეთ გარემოება, როდესაც ჰყვებოდნენ ამ კონკრეტულ ნიმუშს);*

❖ *რას უკავშირდებოდა აღნიშნული ამბის თხრობა/გამოყენება/შესრულება;*

❖ *რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს მის თხრობას/გამოყენებას/შესრულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);*

❖ *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის თხრობის დროს;*

❖ *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის;*

❖ ***აღწერეთ თავად ნიმუში* – სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ იყოს 500 სიტყვაზე ნაკლები.**

სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვ.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

**გადმოგზავნის ვადაა 2016 წლის 1 მარტი.**

***გვეკონტაქტეთ:*** სამუშაო დღეებში
(32)298-39-24, 13სთ-დან 15სთ-მდე
ან 599 08 40 03; 599 08 40 14;
aramaterialuri@yahoo.com

მაკა თაქთაქიშვილი, სალომე ხმიადაშვილი,
კოტე ნაცვლიშვილი

***საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება***

სტუმარი

# მარტივია ეთანხმებოდე ვაჟას, მაგრამ რთულია გულწრფელად იზიარებდე მის ნაფიქრს

## ნომრის სტუმარია სალომე რაზიკაშვილი



**– სალომე, პირველ რიგში, გაგვეცანი... ინტერვიუს მზადების პერიოდში საზღვარგარეთ გაემგზავრეთ, კერძოდ, რომელ სასწავლებელში და რა მიზნით?**

– მოგესალმებით, სალომე რაზიკაშვილი, 23 წლის. ასე ვიტყვი, მომავალი რეჟისორი, რადგან რეჟისორობა დიდი გზაა, რომლის დაძლევის პირველ საფეხურებზე ვარ. ესპანეთში სამუშაოდ (სტაჟირებაზე) ვიყავი ცნობილ ესპანურ კინოკომპანია „lolla films"- ში, საიდანაც, ვფიქრობ, ძალიან დიდი გამოცდილება დავაგროვე და საკმაოდ გავიზარდე პროფესიაში. ახლა უკვე დავბრუნდი საქართველოში და მაგისტრატურაზე ჩავაბარე თეატრალურ უნივერსიტეტში, მხატვრული კინოს რეჟისურის ფაკულტეტზე, ბატონი ბუბა ხოტივარის და ბატონი მერაბ კოკოჩაშვილის სახელოსნოში. ჩემი აზრით, ძალიან იღბლიანი ადამიანი ვარ, ცხოვრებაში ბევრ გენიალურ ქართველ, თუ არაქართველ რეჟისორთან მქონია ურთიერთობა და დარწმუნებული ვარ, ეს ძალიან დამეხმარება მომავალში კარგ რეჟისორად ჩამოვყალიბდე.

**– ყველა შემოქმედი ალბათ იმისთვის ქმნის, რომ მისთვის მნიშვნელოვან კითხვებს უპასუხოს. ერთ მწერალს ჰკითხეს, რატომ წერ წარსულზე, უპასუხა: იმიტომ, რომ ის აწმყოს ჰგავსო. ფილმში „საუბრები პაპაჩემთან" – ვაჟა-ფშაველასთან, მომავლიდან წარსულს ეხმიანები. ფილმი აგებულია ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტურ წერილზე – „რა არის თავისუფლება?", სადაც განსაკუთრებული აქცენტი პაპის და შვილიშვილის დიალოგზეა გამახვილებული. რატომ გადაწყვიტე ამ ფილმის გადაღება, რატომ აირჩიე ეს თემა და რა გინდოდა ამ ფილმით გეთქვა?**

– ამ ფილმის იდეა ჯერ კიდევ მაშინ დამებადა, როდესაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მინდოდა ის კითხვები დამესვა ვაჟა-ფშაველასთვის, რაც, ჩემი აზრით, თითქმის ყველა ადამიანს უნდა აინტერესებდეს. პასუხები ვაჟას პუბლიცისტური წერილებიდან, მოთხრობებიდან და ლექსებიდან გავეცი. ბავშვობიდან ძალიან ბევრი კითხვა მიჩნდება მასთან და არც ერთი მათგანი დაუტოვებია უპასუხოდ. ამ ფილმის იდეა კარგი იყო, მაგრამ, ჩემი შეფასებით, როგორც ფილმი, არ შედგა. მაყურებელს ძალიან მოეწონა, მაგრამ მე კმაყოფილი არ ვიყავი. ამის შემდეგ დავიწყე ფიქრი ახალ სცენარზე, სადაც მინდოდა მომეძებნა მთავარი სათქმელი, რაც ძალიან ნამდვილი და ზოგადი იქნებოდა. ვგულისხმობ იმას, რომ ადამიანებს ჩემგან რაღაც კონკრეტული მესიჯი უნდა მიეღოთ. თემა თავისუფლებაა, პუბლიცისტური წერილის მიხედვით „რა არის თავისუფლება?". ეს კითხვა ოდესღაც ვაჟა-ფშაველამაც დაუსვა საკუთარ თავს და პასუხიც გასცა. მინდოდა მეჩვენებინა მისი სიდიადე, უნიკალური და ყველასგან განსხვავებული აზროვნება, რომელიც XX საუკუნეში თითქოს გაქრა მისი სიკვდილით, მაგრამ, რეალურად, ნებისმიერი მისი ნააზრევი ახლაც ლოგიკური და აქტუალურია. ფილმში თავად ვსვამ კითხვას – რა არის თავისუფლება? და პასუხს ვიღებ პერსონაჟისგან, რომელიც არის ვაჟაც, ალუდაც, აღაზაც და ხმელი წიფელიც. აქ კონკრეტულად პაპასთან არ არის დიალოგი, აქ მთელი მისი არსი და მორალია, რასაც მე თითქოს წარმოსახვაში ვხედავ, იმ სივრცეში, სადაც მისი აურა ნამდვილად იგრძნობა. ფილმის ბოლოს ის მაძლევს რჩევას, ვიყო თავისუფალი და დამოუკიდებლად მივიღო გადაწყვეტილება. ეს ჩანს მაშინ, როდესაც მეუბნება ლექსს – „პაპაჩემის ანდერძი" და ბოლო ეპიზოდში, როდესაც ვიღვიძებ და თავთან მხვდება ვაჟა-ფშაველას წიგნი, რომელიც მან თავად დახურა და თეთრი ცარიელი ფურცლები, რომელიც ფილმში თავისუფლების სიმბოლოდაა გამოყენებული. ეს მინიშნებაა, რომ მომცა შანსი და უფლება, ვიყო თავისუფალი იმით, რომ დახურა თავისი წიგნი და დამიტოვა ფურცელი, რომელზეც თავად უნდა დავწერო საკუთარი ისტორია სხვისი დახმარების გარეშე, როგორც ეს თავად გააკეთა.

**– როგორ ფიქრობ, იპოვე პასუხი კითხვაზე – რა არის თავისუფლება?**

– ვფიქრობ, ნაწილობრივ ვიპოვე, რადგან დიდი ხანი ვფიქრობდი ამაზე და საბოლოოდ მივაღწიე იმას, რომ ვიგრძენი რაღაც ახალი ჩემში, რაც, ჩემი ვარაუდით, ზომიერი, მოკრძალებული და ნამდვილი თავისუფლება უნდა იყოს. ვფიქრობ, რომ უნდა იყო საკუთარი თავის უფალი!

*„და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: თავისუფლება ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველესყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავის არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად..." „მაშასადამე, თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე.ი. ბედნიერი თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია. ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება. მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა."*

**– ფილმში ამბობ: რთულია ვაჟას თავისუფლებით ცხოვრება... როგორ ფიქრობ, რატომ არის რთული? რას ითხოვს თავისუფლება ადამიანისაგან?**

– თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. ის გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

ეს არის ვაჟას მიერ დანახული თავისუფლება, როგორ ფიქრობთ, ეს მარტივია? ან ვინმემ შეძლო ამ აზრს ბოლომდე ჩაღრმავებოდა და საბოლოოდ, გრძნობით და გაგებით მისულიყო იქამდე, რომ ეს ჭეშმარიტებაა? მგონი რომ – არა. ამიტომ ვამბობ, რომ რთულია ვაჟას თავისუფლებით ცხოვრება. გაიგო, გაიაზრო მისი ნააზრევი და შემდეგ ეს განახორციელო კიდეც, ძალიან რთულია.

**– როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? ამ შეკითხვას ვაჟა-ფშაველა პუბლიცისტურ წერილში – „რა არის თავისუფლება?" ასე პასუხობს: *„თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მითუმეტეს საზოგადოებას"*. შენ როგორ ფიქრობ?**

– ვფიქრობ, ჩემი მხრიდან რჩევა-დარიგება არ იქნება მართებული, ამიტომ ვიტყვი ჩემ აზრს, როგორ უნდა ვიქცეოდე მე და როგორ მინდა მოიქცეს ჩემი მომავალი თაობა. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ არ აგვერიოს თავისუფლება მრუშობაში და ხორციელ თავისუფლებაში. ეს საერთოდ არ მოიაზრება თავისუფლებასთან. მინდა არ ვცდილობდეთ ადამიანები ვიზუალური პროტესტით გამოვხატოთ ჩვენი, შინაგანი თავისუფლება. ვგულისხმობ იმას, რომ დღეს დიდია აგრესია ახალგაზრდებში სხვა ადამიანების მიმართ, რასაც საკმაოდ უცნაურად გამოხატავენ და როდესაც ჰკითხავ რატომ? ისინი გპასუხობენ, რომ არიან თავისუფლები. ეს არასწორი ხედვა და დამოკიდებულებაა. ჩემი აზრით, თავისუფლება სულ სხვა რამაა. თავისუფლებაა, როცა არ იზღუდები საქმის კეთებაში, შეგიძლია გასცე სიკეთე ისე, რომ სანაცვლოდ არაფერს ელოდო და შეგეძლოს ამის ჩუმად, ხალხის შეწუხების გარეშე კეთება. ეს არის სულის თავისუფლება, რაც ადამიანს ძალიან დიდ ძალას და სიმშვიდეს აძლევს.

**– ფილმზე მუშაობის დროს „აღმოაჩინე" თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი, რისი მიტანაც გინდოდა მაყურებლამდე, საზოგადოებამდე, რაც მას დააფიქრებდა, როგორც წარსულზე, ისე აწმყოზე, მომავალზე... თუნდაც ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე.**

– აღმოვაჩინე ის, რომ ადამიანების გარკვეულმა კატეგორიამ სწორად მიიღო ჩემი მესიჯი. ამ ფილმით ვამბობ – ვაკეთოთ ის, რაც გვიყვარს და რაც სიამოვნებას გვანიჭებს ყველანაირი ჩარჩოების გარეშე, ვიყოთ საკუთარ სურვილებში თავისუფალი. შეცვლილი პროფესია, გარემოებიდან გამომდინარე, ნაწილობრივ უბედურებაა, იმიტომ რომ გიწევს იმაზე თქვა უარი, რაც გიყვარს, აქ თავისუფლებაც იკარგება. იყო თუნდაც გენიოსის ჩრდილის ქვეშ, ესეც თავისუფლების დაკარგვაა. ჩვენ გვაქვს ფუფუნება ვნახოთ, წავიკითხოთ და მოვუსმინოთ გენიოსების ნააზრევს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ გარშემო ვიტრიალოთ და მათი სახელის გვერდით ჩვენი ნიშანი არ დავტოვოთ.

**– პოეზიას და პროზას რომ თავი დავანებოთ, დღესაც აქტუალურია ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილები. მისი წერილი თავისუფლებაზე, კოსმოპოლიტიზმზე და სხვა თემებზე 2016 წლითაც შეგვიძლია დავათარიღოთ, იმდენად იდენტურია გამოწვევები. ბევრი რამ გვეცნობა, თუნდაც ქართული რეალობიდან. ფილმი შენი და ვაჟას ურთიერთობაზეა... შენ სვამ კითხვას: რა არის პოეზია? რა არის ვაჟკაცობა? პასუხი ვაჟას ყველაფერზე აქვს, ყველა კითხვაზე იპოვი პასუხს მის წერილებშიც... და მაინც, რომელია შენ მიერ დასმული კონკრეტული შეკითხვა, რომელზეც ვაჟა-ფშაველა გპასუხობს?**

– პატარა რომ ვიყავი, გარდატეხის ასაკში (რაც, მოგეხსენებათ, საკმაოდ რთული და მგრძნობიარე პერიოდია), მქონდა ბავშვური კითხვები. რასაც მაშინ ვგრძნობდი და განვიცდიდი, ნებისმიერი უფროსი ვალდებული იყო ჩემთვის პასუხი გაეცა. ვაჟას ვკითხე და მიპასუხა კიდეც: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი". ეს ერთ-ერთი კითხვაა, რაზეც ძალიან მოკლედ და კონკრეტულად მიპასუხა. ძალიან ბევრი პასუხი მიმიღია მისგან ისე, როგორც ბევრ სხვა ადამიანს.

**– რა ასაკში ეზიარე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, რა განცდა გქონდა, როცა თუნდაც „შვლის ნუკრის ნაამბობი" წაიკითხე, როგორ იმოქმედა წაკითხულმა?**

– 7 წლის რომ ვიყავი, პირველად, „შვლის ნუკრის ნაამბობი" მამამ წამიკითხა. მახსოვს, ძალიან განვიცდიდი და ვნერვიულობდი, ამაზე შემდეგ ლექსიც კი დავწერე. ვაჟა-ფშაველას მამაჩემი ძალიან ფრთხილად და ნაბიჯ-ნაბიჯ მაკითხებდა. ვფიქრობ, რომ ეს სწორი მიდგომაა, რადგან 7 წლის ასაკში შვლის ნუკრზე მესაუბრებოდა და ახლა კოსმოპოლიტიზმზე, პატრიოტიზმზე, სინდისზე, თავისუფლებაზე... საძირკველი სწორად რომ არ შეემზადებინა, შეიძლება დღეს ვაჟა-ფშაველას მიმართ ეს არანორმალური ინტერესი არ მქონოდა.

**– *„უცნაური განცდაა, ხომ არსებობს სისხლით, გონებით, მორალით ნათესაობა, მე ვამბობ, რომ არსებობს ვაჟათი ნათესაობა. არ შემხვედრია ადამიანი ვისაც ვაჟა ნამდვილად არ უყვარდეს და არ გავდეს ერთმანეთს ზნეობით, მენტალიტეტით, მისწრაფებით, ფასეულობით"* – ამბობს ვაჟა-ფშაველას შთამომავალი ლელა რაზიკაშვილი. მოახდინა თუ არა შენს ცხოვრებაზე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებამ გავლენა, განსაზღვრა თუ არა მან შენი არჩევანი, ის, რაც გინდოდა გეკეთებინა ცხოვრებაში?**

– სამწუხაროდ, არასოდეს მიმიმსგავსებია ვინმე ვაჟა-ფშაველასთვის. გიყვარდეს ვაჟა ესეც სამსჯელო თემაა. გიყვარდეს მისი ლექსი და მოთხრობა, თუნდაც პოემა, არ ნიშნავს გიყვარდეს ვაჟა. მე მიყვარს პიკასოს „გერნიკა", მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიყვარს პიკასო და ზნეობით და მისწრაფებით ვენათესავები მას. ვაჟა-ფშაველა ძალიან დიდი ადამიანი იყო, რომელიც ძალიან ღრმა დეტალებზე ფიქრობდა, იყო პიროვნება, რომელსაც ძალიან ბევრი სათქმელი ჰქონდა და ვფიქრობ, ბოლომდე ვერ მოახერხა დაეწერა ყველაფერი, რაც მის თავში, მის ირგვლივ ხდებოდა, თორემ, ვინ იცის, იქნებ ოცდამეორე საუკუნეშიც კი გაეცა პასუხი ადამიანებისთვის. მარტივია ეთანხმებოდე ვაჟას, მაგრამ ძალიან რთულია გულწრფელად იზიარებდე მის ნაფიქრს. ვაჟას გონებითა და მორალით რომ დაუნათესავდე, ვფიქრობ, ისეთივე დიდი ადამიანი უნდა იყო, როგორიც იყო ვაჟა-ფშაველა. რასაკვირველია, ჩემი ცხოვრების ბევრ ეტაპზე, ძალიან სწორი გავლენა იქონია მისმა არსებობამ.

**– ფილმში მგზავრი გეკითხება: პაპაშენი ცოცხალი რომ იყოს, რას ჰკითხავდი ან რა პასუხს გაგცემდა? შენ პასუხობ: ალბათ, ჩემს ცხოვრებაზე მოვუყვებოდი, ვთხოვდი დავერიგებინე... და მაინც, რას ჰკითხავდი ვაჟა-ფშაველას?**

– ვთხოვდი მოეცა რჩევა, როგორ შევინარჩუნო სიმშვიდე, როგორ ვიყო ის ადამიანი, ვინც მის პატივისცემას დაიმსახურებდა.

**– სალომე, დამეთანხმები ალბათ, რომ ვაჟა-ფშაველას არა მარტო შემოქმედებაა საინტერესო, არამედ მისი ცხოვრება, მოღვაწეობა. გაიხსენე რაიმე ისტორია, ფრაგმენტი, წინაპართა ნაამბობი მისი ცხოვრებიდან, შემოქმედებიდან, რამაც შენზე განსაკუთრებული შთბეჭდილება მოახდინა.**

– ნაამბობიდან, რაც ყველაზე მეტად მიყვარს, ვახტანგ რაზიკაშვილის მოგონებებია წიგნიდან – „მამაჩემი ვაჟა-ფშაველა". ვახტანგი მას ძალიან საინტერესოდ იგონებს და ვფიქრობ, ნებისმიერი ადამიანისთვის საინტერესო იქნება ამ წიგნის წაკითხვა. მამაჩემმა, ასევე ვახტანგ რაზიკაშვილმა, წიგნი გამოსცა ხელმეორედ, რომელსაც ჰქვია – „ჩრდილი და აჩრდილი". წიგნში სამი თაობა იყრის თავს, ეს არის ვაჟა-ფშაველას მამა, პავლე, თავად ვაჟა-ფშაველა და მისი შვილი – ვახტანგ რაზიკაშვილი. ვურჩევდი მკითხველს გაეცნონ ამ წიგნს.

**– ვაჟას ეპოქაში, ბუმბერაზი პოეტების გვერდით, რთული იყო თვითდამკვიდრება. აკაკი წერეთელმა ენა დაუწუნა მას... ლიტერატორების აზრით, აკაკიმ ეს ლექსი ქართული სალიტერატურო ენის დაცვის მიზნით გამოაქვეყნა. როგორ ფიქრობ, ვაჟას კუთხურ ფშაურ-ხევსურული დიალექტი რომ არ მოეშველიებინა, ავიდოდა ასეთ სიმაღლეზე?**

– ვაჟა-ფშაველა ბევრი გენიალური თვისების და თავისებურების გაერთიანება იყო და არის. მე არ ვიცი, რატომ დაუწუნეს ენა და ვფიქრობ, სწორედ მისი პასუხია მისაბაძი და ძალიან დამაფიქრებელი. ვაჟა-ფშაველა არის ვაჟა-ფშაველა და ის ყველა შემთხვევაში იქნებოდა ის, რაც იყო. წარმოიდგინეთ, ის დაიბადა მე-19 საუკუნეში, ახლა 21-ე საუკუნეა და ჩვენ ისევ მასზე

## სტუმარი

ვსაუბრობთ, თუმცა ჯერ კიდევ ვერ გაგვიგია მისი ფენომენი. ამიტომაც ვფიქრობ, დიახ! ის მაინც იქნებოდა ამ სიმაღლეზე, რადგან ის დაიბადა ამ სიმაღლისთვის!

*„თქვენს უმორჩილესს მონას, ამ წერილის ავტორს, ხშირად გამიგონია ზოგიერთის ჩვენის მწერლისაგან სამდურავი – დაძველებული, უვარგისი ფორმები ნუ შემოგაქვს მწერლობაშიო. რაც დაძველდა, აღარ ვარგა, ის უნდა გავიტანოთ და სანაგვეზე გადავაგდოთო. ყველას თავისი გემოვნება აქვს, საკუთარი ფიქრი და აზრი და მეც ჩემი, რასაკვირველია... სხვებს რომ თავი დავანებოთ, ნიჭიერ მწერლებად და ენის მაგალითად ჩვენთვის მხოლოდ ორი მწერალი კმარა – შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, გაურყვნელის ენით მესაუბრედ კიდევ მთიელნი, რომლებთანაც მე მაქვს დამოკიდებულება, და ამ გაკიცხულის ფორმებსაც იმათგან ვიძენ, ნუ გგონიათ ფორმებს ვთხზავდე, ღმერთმა დამიფაროს!“* – წერილიდან „ენა“.

*„აკაკის ლექსმა („აკაკი წერეთელი – ვაჟა-ფშაველას“) „ენას გიწუნებ ფშაველო“ პირველად შეაძრწუნა, მაგრამ არ შეიმჩნია, უფრო გაჩუმდა, ალბათ ეშინოდა ცუდი არაფერი წამომცდესო, უფრო მეტად მამაჩემი ბობოქრობდა და სთხოვდა ეპასუხნა, მაგრამ ვაჟა ელოდა ვინემ გადახარშავდა და თავის რაინდობას ერთხელ კიდევ დაამტკიცებდა თავისზე უფროსის, თანაც საქართველოს პოეტის ძვირად ხსენება განა მას სახელს შემატებდა? ასეთ აზრს გამოთქვამდა ვაჟა და ძმებიც დაარწმუნა, რომ ის უსათუოდ სწორად იქცეოდა. რისთვისაც ბოლოს მართლაც რაინდის სახელი დაიმკვიდრა ძმებში, მისთვის ძმების აზრი ძვირფასი იყო. და მართლაც, როცა მამაჩემმა წაიკითხა ვაჟას ლექსი „დაგვიანებული პასუხი აკაკის“ , წამოიძახა: „შედევრ, რაინდია ჩემი ძმა, სწორედ რაინდი!“* – ამონარიდი ეთერ რაზიკაშვილის მოგონებიდან (ძმისშვილი).

**– ის, რომ ვაჟა-ფშაველას შთამომავალი ხარ, უდავოდ საამაყოა, მაგრამ მაინც რა არის შენთვის ამ გვარის ტარება – სასიამოვნო მოვალეობა, ტვირთი თუ პატივი?**

– რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მოვალეობა და პატივია. მის შვილიშვილობას ტვირთად ვერ აღვიქვამ, ტვირთი შემაწუხებელია, მე კი ეს არ მაწუხებს. მოვალეობა იმიტომ არის, რომ ვეცადო გავაგრძელო მისი არჩეული, სწორი გზა.

**– როგორ ფიქრობ სალომე, რამდენად იცნობს ახალი თაობა ვაჟას და მის შემოქმედებას? რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მომავალი თაობები ეზიარონ ვაჟას ფენომენს, ისევე შეიყვარონ, როგორც ეს ჩვენს წინაპრებში, წარსულში იყო?**

– ვფიქრობ, ვაჟა-ფშაველა ყველას უყვარს, ვინც აღიქვამს მის სიდიადეს და არაამქვეყნიურობას. მთავარია, თქვენ თქვენს შვილს გადასცეთ მისდამი თქვენი სიყვარული და დამოკიდებულება – მე კი ჩემსას, როგორც ეს ჩემმა მშობლებმა და ბებიებმა გააკეთეს. ისინი რომ არა, მე ისიც არ ვიქნებოდი, რაც დღეს ვარ. მამაჩემი რომ არა, მე დღეს ვაჟა-ფშაველას ასე ვერ დავაფასებდი და შევაფასებდი. ასევე მის შეფასებაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ბებიაჩემმა – თამარ რაზიკაშვილმა. რომ არა მეორე ბებია, რომლითაც ასევე ძალიან ვამაყობ, არ მეცოდინებოდა კლასიკური მუსიკა, ადამიანის ბევრის მომთმენი და შემნდობი ხასიათი, რადგან თვითონ ასეთია და მაგალითია კარგი ადამიანობის. რომ არა დედაჩემი, არ მეყვარებოდა მხატვრობა, თანამედროვე კარგი მუსიკა, ვერ შევაფასებდი და გავარჩევდი უგემოვნოს გემოვნებიანისგან და კიდევ, დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო მათ როლზე ჩემს ცხოვრებაში. ამიტომ ვფიქრობ, მომავალს ყოველთვის წარსული და აწმყო ანათებს, ჩვენ თუ გადავცემთ ჩვენს სიყვარულს ვაჟას მიმართ მომავალ თაობას, მათაც აუცილებლად ეყვარებათ ისე, როგორც ჩვენ და ჩვენს წინაპრებს. ვაჟა-ფშაველა ხომ ამოცანაა, რომლის ამოხსნის სურვილიც ყველას უნდა ჰქონდეს.

**– დაბოლოს, თანამედროვენი ასე ახასიათებენ ვაჟას – *„ვაჟას ყოველი წუთი ძვირფასად მიაჩნდა. უყვარდა ადამიანები და გულს სტკენდა უსამართლობა. ადამიანების დაჩაგვრას ვერ იტანდა, სხვებთან ყოველთვის ამის გამო მოსდიოდა უსიამოვნება, იტყოდა ხოლმე „კაცნო ერთურთს ნუ შჩაგრავთ, ერთურთი უნდა გავიტანოთო.“* ადამიანებს ბევრჯერ გვითქვამს ის, რაც „კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა“ – *„გიყვარდეთ კაცნო ერთმანეთი“*. სალომე, შენ რას ეტყვი შენს თაობას?**

– არ მაქვს უფლება არ დავეთანხმო ვაჟას და იგივე არ ვუთხრა ჩემს თაობას, რადგან ეს არის ვაჟას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანატოვარი, რაზეც ძალიან ბევრი ვიფიქრე და თავდაპირველად ჩემს თავს მოვუწოდე სიყვარულისკენ, ახლა სხვებსაც მოვუწოდებ, რადგან მიმაჩნია, რომ ერთმანეთი თუ გულწრფელად და უანგაროდ გვეყვარება, ყველაფერი ძალიან კარგი და ნათელი იქნება.

ესაუბრა მაკა ყიფიანი

## პროფესია პედაგოგი

# აი ია

*ვუძღვნი მეგობრებს: ნინოს, გვანცას, თამრიკოს, ხათუნას.**

***ვაქვეყნებთ ამერიკაში მოღვაწე ფილოლოგის – მაია ციციშვილის მემუარისტულ ნაწარმოებს, რომელშიც დიდი გულწრფელობით, სადად და ლაკონიურად არის გადმოცემული პედაგოგის პროფესიის არსი და თავისებურება. ვფიქრობთ, მისი წაკითხვა დიდ სიამოვნებას მიანიჭებს სწორედ ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველებს; ავტორი ოსტატურად ახერხებს, პატარა დეტალების წარმოჩენით ღრმა საკითხებთან მიგვაახლოვოს და დაგვაფიქროს. ამასთან, ძალიან სასიამოვნოა თავისთავად ფაქტი, რომ ქართული ენის შესწავლის სურვილი და სწავლების პროცესი დანერგილია და უკვე წლებს ითვლის ამერიკის შეერთებულ შტატებში. ავტორს კი ამ დიდ საქმეში აღსანიშნავი წვლილი აქვს შეტანილი.***

***ეს ნაწარმოები კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს, რომ ერთი ადამიანის ისტორიით სამყაროს ნამდვილი სურათები იხატება.***



*მაია ციციშვილი (მარჯვნიდან პირველი)*

– უჰ, რა საზიზღარი ხედია! – ჩაილაპარაკა ხელოსანმა.

მასწავლებელმა და სტუდენტმა ერთმანეთს გადახედეს და გაეღიმათ. ხედი მართლაც ვერ ,,დაიკვეხნის“ სილამაზით. მეცხრე სართულის ფანჯრიდან უზარმაზარი გარაჟი მოჩანს, მოშორებით, გზატკეცილზე სათამაშოსავით დაპატარავებული მანქანები სადღაც მიქრიან. გვიანი შემოდგომის მოღუშული დღეა. კი არ წვიმს, როგორც ამ შემთხვევაში ამბობენ, ცრის.

ხელოსანმა ჰაერის გამათბობელს ცოტა ხანს უჩხიკინა, მერე მასწავლებელსა და მოსწავლეს შემოუტრიალდა:

– აჰა, გაკეთებულია, ახლა შეგიძლიათ, ისიამოვნოთ ცხელი ჰაერით, – უკმეხად გაიცინა და ოთახიდან გავიდა.

– არ მომეწონა ეს კაცი, – ჩაილაპარაკა მოსწავლემ ქართულად.

– არც მე, – გაეცინა მასწავლებელს.

– თითქმის ერთი წელია, ჩვენ ამ ხედს ვუყურებთ, ამან კი საზიზღარი უწოდა.

ერთი წელი... დაუჯერებლად სწრაფად გავიდა ეს ერთი წელი ამ პატარა საკლასო ოთახში, მასწავლებლისთვის კი უკვე მერამდენე ერთი წელი...

კედელზე საქართველოს დიდი რუკაა. ვინ იცის, რამდენჯერ შემოუხაზავს ამ რუკაზე სტუდენტებისთვის საქართველოს რეგიონები. იქვე საქართველოს დროშაა გაკრული. ფანჯარასთან თბილისის ხედები კიდია. ოთახი ჩრდილოეთის მხარესაა, ამიტომ მზე აქ მოგვიანებით შემოიხედავს, კარგ ამინდში კი შემოანათებს და თბილისის ხედებიც მზის სხივებში ეხვევა. ეს საყვარელი დროა მასწავლებლისა და სტუდენტებისათვის. ხუთსაათიანი გაკვეთილი დასასრულს უახლოვდება. დარჩენილ დროს, ანუ როგორც ეძახიან, „თავისუფალ დროს“, სხვადასხვა თემაზე საუბრობენ. მასწავლებელი საქართველოს შესახებ ელაპარაკება, სტუდენტები თავის ქვეყანაზე ჰყვებიან. წლების განმავლობაში აშშ-ს სხვადასხვა შტატიდან ჰყავდა მოსწავლე. მათი ნაამბობი ფრაგმენტების ერთად შეკვრით, მასწავლებლის თვალწინ ბოლოდროინდელი ამერიკის სურათი გადაიშალა, რასაც წიგნში ვერ ნახავ.

საბოლოოდ საათის ისრები დაღლილებისათვის სასურველ დროს მიაღწევს.

მასწავლებელს სახლამდის რთული მარშრუტი აქვს გასავლელი, სახლში მისვლისას კი მარტივდება – პირდაპირ სამზარეულოში. საოჯახო საქმეებს რომ დაასრულებს, მეორე დღის გაკვეთილისათვის იწყებს მზადებას. წლების განმავლობაში სასწავლო მასალა და გამოცდილებაც საკმარისი დაუგროვდა, მაგრამ ჩვევად ექცა, არ გაჩერდეს საკმარისზე, ხარისხიანად სწავლება წლებს არ მოაქვს. ახალი და საინტერესო მასალის ძიებაში ხშირად არც ახსენდება, რომ დღე დამთავრდა და უკვე დიდი ხანია ძილის დროა.

დილით ოფისამდე გზა გაცილებით რთულია, ყველაფერი წუთებში აქვს გათვლილი. ლიფტიდან გამოსვლისას საათს დახედავს, საათი შეთქმულივით ერთსა და იმავე დროს აჩვენებს და შვებით ამოისუნთქავს. დაგვიანებაც არ არის დიდი პრობლემა. იცის, თუ სისტემატურ ხასიათს არ მისცემს, არავინ უჩივლებს, საკუთარი თავის გარდა.

– მოყევი, როგორ გაატარე შაბათ-კვირა.

– მე და ჩემმა მეუღლემ სტუმრებისთვის ხაჭაპური გამოვაცხვეთ, ჩვენი პირველი ხაჭაპური.

– მართლა?! როგორი გამოვიდა?

– ისეთი არა, როგორსაც თქვენ აკეთებთ, – იცინის მოსწავლე, მაგრამ მაინც გემრიელი იყო, ყველას მოეწონა.

სულ რამდენიმე კვირაში ეს კურსიც დამთავრდება. მასწავლებლისთვის კურსის დასასრული ყოველთვის განსაკუთრებით რთულია. მთელი წლის განმავლობაში დაღლას ვერ გრძნობს, ბოლოში კი თითქოს ერთბაშად მოერევა ხოლმე, ემოციურადაც გრძნობების მთელი გამაა: სიხარულის, როცა უსმენს ქართულად ალაპარაკებულ სტუდენტებს, შვების – მოვალეობა შესრულებულია, ასევე, უკმარისობის შეგრძნებაც, რომ კურსის უკეთესად წარმართვა შესაძლებელი იყო და, რაც მთავარია, – სევდის. ყოველდღიური ურთიერთობა მოსწავლეებთან აახლოვებს, უკვე „თავისიანად“ მიიჩნევს. მთავრდება კურსი და მათი გზებიც იყოფა, სამახსოვროდ კი მასწავლებელს სამადლობელი წერილები, მოსალოცი ბარათები და პატარ-პატარა სუვენირები რჩება.

ახალ კურსთან ერთად ყველაფერი თავიდან იწყება:

უცხო სტუდენტი, განსხვავებული ჩვევებით, ერთმანეთთან შეგუების პროცესი... ცოტა ხანში უცხოც „თავისიანი“ ხდება.

– ქართულში ხუთი ხმოვანია და 28 თანხმოვანი. ჩვენს სასკოლო წიგნებში „დედა ენაში“ პირველი წინადადება, რასაც ვასწავლით, არის „აი ია“. ეს უნიკალური მიგნებაა, პალინდრომია, ორივე მხრიდან ერთნაირად იკითხება...

ყოველ ახსნაზე მასწავლებელი ქართულ სიტყვებში თვითონაც რაღაც ახალს აღმოაჩენს, უკვირს, რომ ადრე ვერ შეამჩნია, უხარია და ამავე დროს გული წყდება, რომ წინა სტუდენტთან ვერ შეძლო ამაზე ყურადღების გამახვილება.

დღეები, კვირები, თვეები ერთმანეთში ირევა.

– გამარჯობა, როგორა ხართ?

მოსწავლეების პასუხი ყოველთვის არის: „კარგად“ ან „ძალიან კარგად“, ამას მასწავლებელი უკვე დიდი ხანია მიეჩვია. მოკითხვაზე პასუხი „კარგად“ ამერიკელებისთვის პაროლივითაა, რაშიც მათი ხასიათი მჟღავნდება.

მასწავლებელმაც თავისი საყვარელი ფრაზები: „არა მიშავს“, „ისე რა“, დავიწყებას მისცა. თავიდან არაბუნებრივად მიაჩნდა, როცა ყველაფერი ვერ იყო კარგად, როცა უსიამოვნო ამბები მოდიოდა თბილისიდან მშობლების ავადმყოფობის შესახებ, უჭირდა, ეთქვა – „კარგად“. თანდათანობით კი ეს „კარგად“ თავისით მოვიდა და ბუნებრივად ჩაჯდა. ყველა ემოციას, განწყობას კარს იქით ტოვებს და საკლასო ოთახში რჩებიან თვითონ, მოსწავლეები და ქართული ენა.

ყველა სტუდენტი განსხვავებულია: სამხრეთელს თავისი კოლორიტი აქვს, აღმოსავლეთ, დასავლეთ სანაპიროდან – თავისი, მაგრამ საქმისადმი მიდგომა, შრომის დისციპლინა კი ყველას ერთმანეთის მსგავსი აქვს.

– დავალება ბევრი ხომ არ არის, შეძლებ? ამდენი ზმნის ერთად სწავლა შეუძლებელი ხომ არ იქნება?! – ღელავს მასწავლებელი.

– შევძლებ, შევძლებ, – იცინის მოსწავლე – რთულს ეგრევე შევასრულებ, შეუძლებლისთვის კი ცოტა მეტი დრო დამჭირდება.

– არ გინდა, რამე ახალი სცადო? – ჰკითხა ქმარმა სადილობისას.

– ახალი რა?

– არ დაიღალე ამდენი წელი ამ პატარა ოფისებში სირბილით? ჩემი აზრით, ბევრად მეტი შეგიძლია, უნივერსიტეტებში უნდა სცადო.

– იქაც ხომ ქართული უნდა ვასწავლო?

– ხო, მაგრამ აქეთ-იქით სირბილი არ მოგიწევს, თანაც უნივერსიტეტი მაინც სხვაა....

მასწავლებელმა თეფშების ალაგება დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ ქმარს მიუბრუნდა:

– ამას წინათ ჰენრი ფორდის წიგნს „My life and work“ ვკითხულობდი. ერთი ადგილი დამამახსოვრდა, მგონი, მსგავსი იგავიცაა, მაგრამ ახლა ვერ ვიხსენებ. ფორდი იგონებს:

„ორი წლის განმავლობაში ტბის მიმართულებით მიწევდა სიარული, იქ ყოველდღე ერთ მეთევზეს ვხედავდი, რომელიც თევზაობდა. გამიჩნდა სურვილი, დავხმარებოდი, მივედი და ვუთხარი:

– გსმენია რამე ჰენრი ფორდის შესახებ? ეს მე ვარ, ფორდი. მინდა დაგეხმარო, შემიძლია, გასწავლო, როგორ გახდე მდიდარი. მე მოგცემ შენ ფულს და ამ ფულით იყიდი მოტორიან ნავსა და ბადეს, დაიჭერ ბევრ თევზს, გაყიდი და დამიბრუნებ ფულს.

– მერე? – მკითხა მეთევზემ.

– მერე უფრო მეტ ფულს იშოვი, იყიდი გემს და დაიქირავებ ხალხს, რომლებიც შენთვის იმუშავებენ.

– მერე?

– მერე უკვე იმდენი ფული გექნება, შეგეძლება აკეთო ის, რისი გაკეთებაც გენდომება, – ვუთხარი მე.

– მე ახლაც იმას ვაკეთებ, რისი კეთებაც მინდა, – მიპასუხა მეთევზემ.“

ბედნიერების მექანიზმიც ალბათ ესაა: გსიამოვნებდეს და კმაყოფილი იყო იმით, რასაც აკეთებ.

ქმარმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მაგრამ მთელი ყურადღება უკვე ტელევიზორისკენ ჰქონდა გადატანილი, სადაც სპორტული პროგრამა იწყებოდა.

მაია ციციშვილი
2016 წელი. ვაშინგტონი.

** ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი, თამრიკო ოთხმეზური, ხათუნა კოპალეიშვილი და მაია ციციშვილი 30 წლის წინათ ერთად ასწავლიდნენ თბილისში, ენათმეცნიერ გურამ რამიშვილის მიერ დაარსებულ სკოლაში.*

ბავშვთა უფლებები

# „მე თვითონ“ – ნუ ჩაახშობთ ამ სურვილს

ლალი ჯელაძე

როგორია ქართველი ახალგაზრდების დამოუკიდებლობის მაჩვენებლები, რამდენად მზად ხვდებიან ისინი დამოუკიდებელი ცხოვრების ეტაპს და როგორ უწყობს ხელს მათ მომზადებას განათლების სისტემა, ოჯახი და საზოგადოება – ამ თემაზე, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, ფრონტლაინკლუბში დისკუსია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: **ლევან გიგინეიშვილი** (ფილოლოგი), **გიორგი გახელაძე** და ფსიქოლოგი **ნატალია მჭედლიშვილი**. ქართველი ბავშვის/ახალგაზრდის დამოუკიდებლობა რომ პირობითი ცნებაა და მათ მაგივრად გადაწყვეტილებებს მშობლები იღებენ, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, ამ შემთხვევაში, ის არის, რომ ძალიან დიდხანს ჩვენ თვითონ გვიჭირს ბავშვობასთან განშორება – დამოუკიდებლობის მოპოვება და მისი აღიარებაც. მომხსენებლებმა ძირითადი აქცენტი მაინც საგანმანათლებლო სისტემაზე გააკეთეს – როგორია სკოლის როლი დამოუკიდებელი ადამიანის აღზრდაში?

**გიორგი გახელაძემ** განაცხადა, რომ: *„ჩვენი სისტემა, რეალურად, დღეს ამ ამოცანას ვერ ხსნის“*, რადგან სკოლა ჯერ კიდევ რჩება ინსტიტუციად, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, მორჩილებაზეა ორიენტირებული. თუმცა იგი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ფორმალური განათლება არ არის ერთადერთი, რომელიც ამ სოციალურ უნარებს უნდა ავითარებდეს: *„ადამიანმა, ბავშვმა ადრეულ ასაკშივე უნდა ისწავლოს სხვებთან ურთიერთობა და ამ ურთიერთობაში გამოიბრძმიდოს, როგორც დამოუკიდებელი – ეს სკოლამდელი ასაკია. სკოლამდელი დაწესებულების მომსახურებით კი ჩვენთან, წლიდან წლამდე, ბავშვების 46 პროცენტი სარგებლობს. მათი სოციალიზაცია, ძირითადად, სკოლაში იწყება. სკოლა კი დღესაც ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი ადამიანების აღზრდის ინსტიტუტი. თუმცა, გვაქვს გამონაკლისი კერძო სექტორში, სადაც უფროსების ძალისხმევა იმისკენაა მიმართული, რომ რაც შეიძლება გონიერი და თავისუფალი ადამიანები აღზარდონ. სამწუხაროდ, ეს გამონაკლისებია, უმეტეს შემთხვევაში კი, როგორც გითხარით, მორჩილებაზე ორიენტირებული სკოლა გვაქვს.“*

ქართველი ახალგაზრდების დამოუკიდებლობის დაბალი მაჩვენებლების შეცვლა, **ლევან გიგინეიშვილის** აზრით, სკოლის ასაკში ბავშვებისთვის კრიტიკული აზროვნების სწავლებას შეუძლია. რაც შეიძლება ადრეულ ასაკში უნდა მივაჩვიოთ ბავშვები დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას. მისი აზრით, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშობლები და პედაგოგები მათ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზეც ესაუბრონ. მართალია, ისინი ამ ასაკში ოჯახში შემომტანები ვერ გახდებიან, მაგრამ ეკონომიკური დამოუკიდებლობის გააზრება მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ, გახდნენ უფრო დამოუკიდებლები და თავისუფლები – *„დამატებითი ფული დამატებით სივრცეებს გიქმნის. სტუდენტობის პერიოდში, როცა უცხოეთში ვსწავლობდი, პრობლემა ის კი არ იყო, რომ სტუდენტები მუშაობდნენ, უცნაური ის იყო, რომ არ მუშაობდნენ. მე თვითონ ბიბლიოთეკაში კატალოგისტად ვმუშაობდი.“*

*„ბავშვმა სკოლის ასაკში უნდა ისწავლოს აზრის ჩამოყალიბება, რათა არ იყოს ინერტული და პასუხს აგებდეს თავის გადაწყვეტილებებსა და აზრებზე. მე თვითონ ვასწავლი სკოლაში და ვხედავ, რომ ბავშვები ძალიან კრიტიკულები ხდებიან. ინტერნეტის ეპოქა მასწავლებლებისთვის სირთულეებს ქმნის. ბავშვები სკოლაში ახალ-ახალი იდეებით მოდიან, ისეთი იდეებით, რაზეც შენ არ გიფიქრია. პედაგოგისთვის ეს გამოწვევაა. გიხდება მეტი იკითხო და ეს კარგია. როცა კლასი ინტერაქტიულია, შენ გრძნობ აუდიტორიას და ხედავ, რამდენი გაკლია, რომ აუდიტორიის ადეკვატური იყო. თანამედროვე ლექტორი უნდა ხვდებოდეს მოსწავლეების ინტერესებს“* – განაცხადა ლევან გიგინეიშვილმა.

გიორგი გახელაძე ამბობს, რომ პრობლემას, გარკვეულწილად, ხელოვნურადაც ვქმნით, რადგან *„ჩვენს ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღები ადგილების რაოდენობას ხელოვნურად ვზრდით. სკოლის კურსდამთავრებულთა 70 პროცენტი უმაღლეს სასწავლებლებში აბარებს. ახალგაზრდები პერმანენტული სწავლის რეჟიმში გვყავს, არადა ამ დროს უნივერსიტეტში მოდიან ისეთი სტუდენტები, რომლებსაც საკუთარი მოსაზრებების მკაფიოდ ჩამოყალიბება და არგუმენტაციაში გაჯიბრება არ შეუძლიათ. იმ სკოლადამთავრებულთაგან, რომლებიც ჩვენთან უნივერსიტეტში მოდიან, ძალიან მცირე ნაწილს აქვს ეს უნარი განვითარებული.“*

მისი აზრით, ბავშვებში რაღაცის შეცვლის სურვილია, მაგრამ გზა არ იციან, როგორ შეცვალონ, რა ნაბიჯები გადადგან. ამას, ისევ და ისევ, განათლების სისტემასთან მივყავართ, რომელმაც ამ მიმართულებით მეტი უნდა გააკეთოს: *„ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, რომელიც 3 წლის წინ ჩატარდა, X-XI კლასელების 60%-ს სურვილიც კი არ აქვს, მონაწილეობა მიიღოს საკუთარი სკოლის თვითმმართველობის საქმიანობაში. იმავდროულად, არის მეორე კვლევაც, რომლის მიხედვით, ჩვენი ახალგაზრდების 70%-ს სჯერა, რომ მათ სკოლის კულტურის შეცვლა შეუძლიათ, ანუ საკუთარი თავის რწმენა აქვთ, მაგრამ ცვლილებებისთვის კონკრეტული შესაძლებლობების გამოყენების სურვილი კი – არა“.* სხვა პრობლემებთან ერთად, გიორგი გახელაძე იმასაც ასახელებს, რომ დასაქმების მსურველ ახალგაზრდებს, დამსაქმებელი უნდობლობას უცხადებს, ასაკისა და გამოუცდელობის გამო. ეს ყველაფერი მან საკუთარ შვილებზე გამოსცადა. არადა, ჩვენი კანონმდებლობით, 16 წლის ადამიანს სრულფასოვანი შრომითი ხელშეკრულებით სარგებლობის უფლება აქვს.

ფსიქოლოგი **ნატალია მჭედლიშვილი** მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ პირველი ნაბიჯების გადადგმა, დაახლოებით, სამი წლის ასაკიდან იწყება, ამ ასაკში იწყებს ბავშვი მოთხოვნას – „მე თვითონ“ და თუკი *„ამ სურვილს ჩავახშობთ, მერე შედეგად იმას მივიღებთ, რომ ზრდასრულ ასაკში მსგავს ინიციატივას აღარ გამოიჩენს, იმიტომ რომ ასე გაიზარდა. ანუ, აქ აღზრდის სტილის პრობლემაც გვაქვს. საქართველოში ხომ უმეტესად მშობლები ჰიპერმზრუნველობას იჩენენ, შვილების ნაცვლად გადაწყვეტილებასაც და პასუხისმგებლობასაც თავად იღებენ. მშობლის ძირითადი და მთავარი შეცდომაც სწორედ ის გახლავთ, რომ ბავშვს (თუნდაც სამი წლის ასაკში) არ ასწავლის საკუთარი აზრის გამოხატვას, არ ასწავლის გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას. თუნდაც მცდარი იყოს, მთავარია, მას აგრძნობინოს, რომ თვითონ მიიღო გადაწყვეტილება. პატივს არ სცემს ბავშვის აზრს – პრობლემა აქედან იწყება. ამას ისიც ემატება, რომ სამწუხაროდ, არც ბაღი და არც სკოლა არაა მიმართული ბავშვისთვის სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებისკენ.“*

მისი აზრით, სკოლაში აუცილებელია სოციალური უნარ-ჩვევების სწავლებისთვის სპეციალური საათი, რადგანაც ბავშვებმა აუცილებლად უნდა მიიღონ სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებისკენ მიმართული განათლება. მაგალითად, აშშ-ში ჩატარებული კვლევა მოჰყავს, რომლის თანახმადაც, იმ კლასში, სადაც სოციალურ უნარ-ჩვევებზე ტარდებოდა გაკვეთილები, კრიმინალურ და სოციალურად უვნებელი ქცევის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია (ძალიან შემცირებული იყო), ვიდრე იმ კლასში, სადაც მსგავს განათლებას ბავშვებს არ აძლევდნენ.

ნატალია მჭედლიშვილმა ყურადღება იმაზეც გაამახვილა, რომ მშობლები, ძირითადად, სწუხან იმაზე, რომ ბავშვებს დამოუკიდებლად გაკვეთილების სწავლა არ შეუძლიათ. რა ხდება ამ დროს? მისი განმარტებით, ეს მშობლების მიერ თავში დაშვებული შეცდომის შედეგია: „რადგანაც ქართველი დედების უმეტესობა ცდილობს, „თვითონ ისწავლოს გაკვეთილი“ და ბავშვს დამოუკიდებლად მეცადინეობაში არ ენდობა. ის, ელემენტარულად, სწავლის ინტერესს კი არ უჩენს, პირიქით, ცდილობს, ყვირილით და მუქარით მიაჩვიოს დამოუკიდებლად მეცადინეობას. და შემდეგ, როცა ბავშვი უკვე მოზარდობის ასაკში აღარ უჯერებს, თავისთავს კი არა, შვილს




ადანაშაულებს. *„ასეთი შემთხვევების დროს, როცა ვიწყებთ მათთან მუშაობას იმ მიმართულებით, რომ თვითონ შეიცვალონ დამოკიდებულება, რასაკვირველია, მშობლები უკმაყოფილოები ხდებიან. არადა, პრინციპში, ყველაზე მთავარი სწორი დამოკიდებულებაა, იქნება ეს მშობლის მხრიდან თუ მასწავლებლის მხრიდან. როგორც კი დამოკიდებულება შეიცვლება, პრობლემაც ნელ-ნელა, თანდათანობით გაქრება“* – აცხადებს ის.

დარბაზიდან დასმულ კითხვებს – რატომ გვაშინებს ქართველ დედებს და მამებს შვილების დამოუკიდებლობა და რატომ გამოვდივართ რთულად ბავშვობიდან? ლევან გიგინეიშვილმა უპასუხა, რომ ამის ძალიან ღრმა მიზეზები არსებობს და ისინი შეიძლება რელიგიურ-კულტურულ აურაშიც ვეძებოთ: *„ჩვენთან ღრმა კულტურულ-რელიგიური აურაა. ეს აურა ჩვენთან სხვანაირია, დასავლეთში – სხვანაირი. მე არ ვამბობ, რომ აქ ყველაფერი ცუდადაა. კარგია კულტურული ინერციები, ტრადიცია და მათი შენარჩუნება ღირსების საკითხიცაა, მაგრამ ის ტრადიცია, რომელიც ხანდახან მოგეწებება და ინერციით მოგყვება, გააზრებული არ გაქვს, უბრალოდ მოგყვება, როგორც მოცემულობა. ეს კი ხშირად შენს დამოუკიდებლობას უშლის ხელს. ამიტომაც, ჩვენს კულტურულ მოცემულობას ფრთხილად უნდა მივუდგეთ. სიყვარული ცუდი არასდროსაა, მაგრამ სიყვარული, რომელიც ადამიანის თავისუფლებას მოგუდავს, უკვე ცუდია. სიყვარულიც კარგია და თავისუფლებაც, ამიტომ აუცილებელია ბალანსის დაცვა, ხანდახან კი ეს ბალანსიც თავიდანაა დასადგენი და საპოვნია ახალი შემოქმედებითი სინთეზები, რათა თანამედროვე ადამიანი უფრო ადეკვატური გახდეს“*.

როგორ გავხადოთ სკოლა დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების მქონე მოსწავლის აღზრდაზე უფრო მეტად ორიენტირებული? – ეს იყო დისკუსიის ძირითადი კითხვა, რომელიც არა მხოლოდ მონაწილეთა, არამედ მთლიანად ქართული საზოგადოებისთვის და განათლების სისტემისთვის ჯერ პასუხგაუცემელია. ერთმნიშვნელოვნად, ყველა ფიქრობს, რომ ამ საკითხის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებისა და ცნობიერების შეცვლაა ის გზა, რომელიც პრობლემას მოაგვარებს, თუმცა, ეს გრძელვადიანი პროცესია. გიორგი გახელაძე მიიჩნევს, რომ უმჯობესია ის მოკლე გზა ავირჩიოთ, რომელიც სკოლაზე გადის, თუმცა, ამისთვის აუცილებელი პირობაა სკოლებისთვის რეალური ავტონომიის მინიჭება. *„ეს შესაძლებელია იმიტომ, რომ დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე. ადამიანები – დირექტორები, პედაგოგები, მართალია შეცდომების დაშვების გზით, მაგრამ ისწავლიან დამოუკიდებლად არსებობას, შრომას, სწავლას. სხვა ინსტიტუტებზე ზემოქმედება ბევრად უფრო ხანგრძლივი გზაა. საჭიროა სკოლის გათავისუფლება.“* ბატონი გიორგის აზრის ლოგიკური გაგრძელება თავისთავად ისაა, რომ თავისუფალი სკოლა თავისუფალ ახალგაზრდას გაზრდის.

ლევან გიგინეიშვილის აზრით, პირველ რიგში, უნდა დავძლიოთ ჩვეულებად ქცეული ინერტულობა და გავაჩინოთ იმის განცდა, რომ „თავად შევქმნა საკუთარი თავი“.

ინფორმაცია

# გაზაფხულის სადღესასწაულო მიღება ქართველი სინოლოგებისათვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, ჩინეთის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას „გაზაფხულის სადღესასწაულო მიღება ქართველი სინოლოგებისათვის“ დაესწრო. ღონისძიებას ქართველი სინოლოგები, საუნივერსიტეტო და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები და სხვა საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ. სადღესასწაულო მიღება საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **ძი იანჩიმ** გახსნა, შეკრებილ სტუმრებს მიესალმა და ჩინეთ-საქართველოს ხანგრძლივ და ნაყოფიერ ურთიერთობაზე ისაუბრა, მათ შორის, საგანმანათლებლო სფეროს მიმართულებით.

*„ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ ბოლო დროს ჩინეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები განათლების სფეროში წარმატებით ვითარდება. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ამჟამად 23 სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება ჩინური ენა. ასევე, თავისუფალ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კონფუცის ინსტიტუტი, საერთო ჯამში კი, დაახლოებით, 1000 ადამიანი სწავლობს ჩინურ ენას საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ორ მთავრობას შორის შეთანხმების საფუძველზე, ყოველწლიურად, ჩინეთში იგზავნება 20 სტიპენდიანტი. დღეს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან ერთად, ვისაუბრეთ, თუ როგორ შეიძლება კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა განათლების სფეროში“* – განაცხადა ელჩმა.

თამარ სანიკიძე საუნივერსიტეტო და სასკოლო საზოგადოებას მიესალმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოსთვის ძალიან ბევრი სფეროს კარი გაიხსნა ჩინეთის რესპუბლიკაში და რომ არა სამინისტროსა და ჩინეთის საელჩოს მჭიდრო თანამშრომლობა, ეს ურთიერთობა არ იქნებოდა ეფექტური.

ორმხრივი წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, შესაძლებელი ხდება, რომ განათლება და მეცნიერება ერთ-ერთი წამყვანი თემა გახდეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკოლებში მესამე არჩევითი უცხოური ენა სწორედ ჩინურია.

აღსანიშნავია როგორც სასკოლო, ასევე უმაღლესი განათლების მიმართულებით საქართველოს ჩინეთთან ურთიერთობა. *„მისასალმებელია კონკრეტულ შემოთავაზებებზე მსჯელობა, რათა ორივე მხარისთვის სასარგებლო პროექტებს ჩაეყაროს საფუძველი. მივესალმებით ჩინეთთან ურთიერთობას მეცნიერების მიმართულებით. საქართველო გახდება ჰორიზონტი 20/20-ის წევრი და ჩვენს ჩინელ კოლეგებთან ვიმუშავებთ, რომ ერთობლივი მსხვილმასშტაბიანი პროექტებით წარვდგეთ ამ ფონდის წინაშე. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ შეგვიძლია ვიყოთ საიმედო პარტნიორები“* – განაცხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა.



პედაგოგთა დასახმარებლად

სამოქალაქო განათლება

# მმართველობა და თვითმმართველობა



მარინე დემეტრაშვილი

## მმართველობა

სამოქალაქო განათლების პროგრამა თავისი შინაარსით საკმაოდ მრავალფეროვანია. არაერთ საინტერესო და მნიშვნელოვან თემას მოიცავს. მათ რიცხვშია: მმართველობა, მისი ფორმები და თვითმმართველობა. *„საუკეთესოა ის მთავრობა, რომელიც საერთოდ არ მართავს“* – ჰენრი დევიდ თორო, „სამოქალაქო დაუმორჩილებლობა“ (1849 წ).

**მმართველობა**, ფართო გაგებით, ხელმძღვანელობას ან სხვების კონტროლს ნიშნავს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მმართველობა მოიცავს ნებისმიერ ისეთ მექანიზმს, რომელთა მეშვეობითაც წესრიგის შენარჩუნება ხდება. მისი მთავარი მახასიათებელი თვისება კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება და აღსრულებაა. ამდენად, მმართველობის ამა თუ იმ ფორმამ, თითქმის, ყველა სოციალურ ინსტიტუტში შეიძლება იჩინოს თავი, იქნება ეს ოჯახი, სკოლა, ბიზნესი, პროფკავშირი და ა.შ. ოღონდ „მმართველობა“ „მართვისგან“ იმით განსხვავდება, რომ იგი ფორმალურ და ინსტიტუციონალურ პროცესებს ეხება, რომლებიც უკვე სახელმწიფოებრივ დონეზე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და კოლექტიური საქმიანობის ხელშესაწყობად მოქმედებს. ამგვარად, მმართველობის ძირითადი ფუნქციებია: კანონების შექმნა(საკანონმდებლო), მათი აღსრულება (აღმასრულებელი) და ინტერპრეტაცია (სასამართლო). ზოგიერთ შემთხვევაში პოლიტიკური აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელი „მთავრობადაც“ კი მოიხსენიება, რაც საპრეზიდენტო სისტემებში „ადმინისტრაციის“ ექვივალენტია.

საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკური ანალიზის უმთავრეს საზრუნავს მმართველობის სხვადასხვა ფორმების კლასიფიკაცია წარმოადგენდა. ეს პროცესი ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე IV საუკუნეში დაიწყო, როდესაც არისტოტელემ პირველად სცადა იმ დროისათვის არსებული პოლიტიკური რეჟიმების აღწერა ისეთი ტერმინების გამოყენებით, როგორიცაა „დემოკრატია“, „ოლიგარქია“, და „ტირანია“. ეს ტერმინები დღესაც ფართოდ გამოიყენება. XVIII საუკუნის შემდეგ სულ უფრო და უფრო ხშირად ხდებოდა მმართველობის ფორმების კლასიფიკაცია მონარქიულ ან რესპუბლიკურ, ავტოკრატიულ ან კონსტიტუციურ რეჟიმებად. მეოცე საუკუნეში ეს განსხვავებები კიდევ უფრო გამოიკვეთა. პოლიტიკური სისტემების „სამ სამყაროდ“ კლასიფიკაციამ, რამაც განსაკუთრებული პოპულარობა „ცივი ომის“ პერიოდში მოიპოვა, მსოფლიო პოლიტიკის ისეთი სურათი შექმნა, სადაც ერთმანეთს დემოკრატია და ტოტალიტარიზმი დაუპირისპირდა. თუმცა, ასეთი კლასიფიკაცია მოძველებულად ჩანს თანამედროვე მოვლენების ფონზე, როგორიც იყო, მაგალითად: კომუნიზმის მარცხი, აღმოსავლეთ აზიის აღზევება და პოლიტიკური ისლამის აღმოცენება. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ გაურკვეველია, რას ნიშნავს ეს ცვლილებები. ზოგიერთი მათ დასავლური, ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვების ნიშნად მიიჩნევს, სხვები კი თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური დანაწევრებისა და დაშლის ტენდენციებს ხედავენ.

მოსწავლეებს ხშირად უჩნდებათ კითხვები, თუ რა განსხვავებაა მმართველობის ფორმებს შორის და რა მიზანი აქვს მმართველობის სისტემების კლასიფიკაციას?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ეს გაკვეთილი (სახელმწიფოს მმართველობის მოწყობა. IX კლასი. §21) ისტორიის მასწავლებელთან ერთად დავგეგმე. მე-9 კლასში მოსწავლეები, ისტორიის კურსში, სწავლობენ 1832 წლის შეთქმულებას. ამ შეთქმულების ორგანიზატორებიდან ზოგს მონარქიის აღდგენა სურდა, ზოგს კი – რესპუბლიკის ჩამოყალიბება. მოსწავლეები, ჯგუფებში მუშაობის დროს, შეეხებიან ამ შეთქმულებას და ეპოქასთან კავშირში საკუთარ მოსაზრებებსაც შემოგვთავაზებენ – მმართველობის რომელი ფორმა იქნებოდა გამართლებული იმ დროისათვის.

## გაკვეთილის გეგმა

**გაკვეთილის თემა:** სახელმწიფოს მმართველობის ფორმები.

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეები გაეცნობიან, თუ რას ნიშნავს სახელმწიფოს მმართველობა, შეადარებენ ერთმანეთს მმართველობის სხვადასხვა ფორმებს და გააანალიზებენ, რომელი ფორმაა უფრო მისაღები ჩვენი ქვეყნისთვის.

**გაკვეთილის მსვლელობა**:

**I. გამოწვევა** – რა იციან სახელმწიფო მმართველობის შესახებ?

**II. მინი-ლექცია** (იხ. სტატიის დასაწყისი);

**III. მოსწავლეები იყოფიან 4 ჯგუფად და ეძლევათ სამუშაო:**

**ა ჯგუფი** – რესპუბლიკური მმართველობა;

**ბ ჯგუფი** – აბსოლუტური მონარქია;

**გ ჯგუფი** – კონსტიტუციური მონარქია;

**დ ჯგუფი** – თეოკრატიული მმართველობა.

მოსწავლეები იმუშავებენ ჯგუფებში, შემდეგ პრეზენტატორი გააკეთებს პრეზენტაციას (მაგ: რომელ ქვეყნებშია კონსტიტუციური მონარქია, რა უპირატესობა ან ნაკლი აქვს მმართველობის ამ ფორმას, სხვა ფორმასთან შედარებით? რატომ არის ან არ არის ეს მოდელი მისაღები საქართველოსთვის და ა.შ).

**რესურსები:** ფორმატის ფურცლები, მარკერები, დაფაზე ფურცლის დასამაგრებელი მაგნიტები, დაფა, ცარცი, თაბახის ფურცლები.

**ორგანიზების ფორმა:** ჯგუფური მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა(სავარჯიშოს გაკეთება).

**IV. უკუკავშირი** – რეფლექსიისთვის კარგია შემდეგი სავარჯიშო:

ჩასვით გრაფაში მითითებული მმართველობის ფორმები:

*აბსოლუტური მონარქია, საპარლამენტო რესპუბლიკა, დუალისტური მონარქია, შერეული სისტემის რესპუბლიკა, საპრეზიდენტო რესპუბლიკა, კონსტიტუციური მონარქია, თეოკრატიული მონარქია, არჩევითი მონარქია.*

| | |
|---|---|
| 1 ........................... | ში სახელისუფლებო ძალაუფლება განაწილებულია მონარქსა და პარლამენტს შორის. მონარქის უფლებები საკანონმდებლო სფეროში ოდნავ შეზღუდულია. |
| 2 ........................... | ხელისუფლების სამივე შტო – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ერთ პირს ეკუთვნის. |
| 3 ........................... | მონარქი ერთიანობის სიმბოლოა, ის მეფობს, მაგრამ არ მართავს. |
| 4 ........................... | აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტის ხელშია, ის არის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთმანეთისგან მკვეთრად არის გამიჯნული. პრეზიდენტს არ შეუძლია პარლამენტის დათხოვნა, ხოლო პარლამენტს არ შეუძლია მთავრობის გადაყენება. |
| 5 ........................... | პრეზიდენტს უფლება აქვს, დაითხოვოს პარლამენტი, ხოლო პარლამენტს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს მთავრობის ფორმირებაში. |
| 6 ........................... | პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია. მთავრობის ფორმირება ხდება პარლამენტის მიერ. პარლამენტს შეუძლია გადააყენოს მთავრობა და ასევე, მთავრობას შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი. |
| 7 ........................... | სახელმწიფოს მეთაური რელიგიური ლიდერია. |
| 8 ........................... | მაგალითად, არაბეთის გაერთიანებულ საემიროში არსებობს ფედერალური საბჭო, რომელშიც ყველა საემიროს მმართველია გაერთიანებული. სწორედ მათი შემადგენლობიდან აირჩევა ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე. |

**პასუხები:** 1 – დუალისტური მონარქია; 2 – აბსოლუტური მონარქია; 3 – კონსტიტუციური მონარქია; 4 – საპრეზიდენტო რესპუპლიკა; 5 – საპარლამენტო რესპუბლიკა; 6 – შერეული სისტემა; 7 – თეოკრატიული სახელმწიფო; 8 – არჩევითი მონარქია.

ეს სავარჯიშო გვეხმარება გავიგოთ, რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა სახელმწიფო მმართველობის ფორმები.

**შეჯამება:** მმართველობა არის ნებისმიერი მექანიზმი, რომელიც დადგენილ წესრიგს უზრუნველყოფს. მისი მთავარი თვისება კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებისა და აღსრულების უნარია. ამიტომ დასაწყისში გამოყენებული ციტატა: „საუკეთესოა ის მთავრობა, რომელიც საერთოდ არ მართავს“, ჩვენს ქვეყანას და ჩვენს რეალობას არ გამოადგება. კარგად გამართული სახელმწიფოს მმართველობის ფორმის შერჩევა და ფუნქციონირება დაგვეხმარება, რომ ჩვენი უფლებები მეტად იყოს დაცული (ასეთი იყო უმრავლესობის აზრი). ხოლო, რაც შეეხება კლასიფიკაციის საჭიროებას, ის ორ მიზანს ემსახურება: ფაქტების გროვაში მსგავსებებისა და განსხვავებების გამოკვეთით მმართველობის ფორმების გაგებასაც აიოლებს და მმართველობის ფორმების ქმედითობის შეფასებაშიც გვეხმარება.

## თვითმმართველობა

### გაკვეთილის გეგმა

**გაკვეთილის მიზანი:** თვითმმართველობის არსის გაგება და გააზრება.

**რესურსები:** დაფა, ცარცი, მარკერები, თაბახები.

**ორგანიზების ფორმა:** ჯგუფური მუშაობა.

**გაკვეთილის დაგეგმვა:**

**I. კითხვა** – რა იციან თვითმმართველობის შესახებ;

**II. მინი-ლექცია.**

მოსწავლეებს, მინი-ლექციის საშუალებით, უღრმავებთ ცოდნას „თვითმმართველობის არსზე და მისი განვითარების ისტორიაზე“.

შეგვიძლია გამოვიყენოთ დღის ფრაზა: „თვითმმართველობის გარეშე ერს შეუძლია შექმნას თავისუფალი და დამოუკიდებელი მთავრობა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები, მაგრამ მის გარეშე თავისუფლების ჭეშმარიტ სულს იგი ვერ შეიმეცნებს“ (ა. ტოკვილი, „დემოკრატია ამერიკაში“).

ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის ფორმა, ისტორიულად ჯერ ქალაქებში წარმოიშვა და მხოლოდ შემდეგ ეპოქებში მოხდა მისი მოდელების განვრცობა სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. ევროპაში მისი წარმოშობა დაკავშირებული იყო, ფეოდალური საზოგადოების სხვა კლასებისგან ქალაქელთა წოდებრივი და პოლიტიკური გამოცალკევების პროცესში, ქალაქების არა მხოლოდ პოლიტიკურ ცენტრებად, არამედ განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ორგანიზმებად ჩამოყალიბებასთან. კანონზომიერია, რომ ქალაქის თვითმმართველობის ყველაზე განვითარებული ფორმები იმ ქვეყნებში ჩამოყალიბდა, სადაც ყველაზე მეტად განვითარდა თავად ქალაქური ცხოვრების წესი – გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში. იტალიაში იმ დონემდე აყვავდა ქალაქები, რომ მათი დიდი ნაწილის თვითმმართველობები ავტონომიად და განსაკუთრებულ ქალაქ-სახელმწიფოებადაც კი იქცა.

XI-XIII საუკუნეებში ქალაქები სავაჭრო და ეკონომიკური ცხოვრების ცენტრებად იქცა და ქალაქელებმა ბრძოლა დაიწყეს ფეოდალ სენიორებთან საკუთარი უფლებებისა და დამოუკიდებლობისათვის, რის შედეგადაც მეფეები და ეპისკოპოსები იძულებულები ხდებოდნენ, რიგი უფლებებისა და პრივილეგიებისა ქალაქებისათვის გადაეცათ, რაც განმტკიცებული იყო განსაკუთრებული ქარტიებით. საკუთარი უფლებებისათვის მძაფრი, ზოგჯერ შეიარაღებული ბრძოლის შედეგად, დასავლეთ ევროპის ბევრი ქალაქი აღიარეს კომუნად – დამოუკიდებელ თემად, ქალაქელთა განსაკუთრებული უფლებებითა და საკუთარი ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანიზაციით. სამხედრო, ადმინისტრაციული, საფინანსო და სხვა საქმეების დამოუკიდებლად გადაწყვეტის აუცილებლობამ განაპირობა თვითმმართველობის დაწესებულებების წარმოშობა. უპირველეს ყოვლისა, დამკვიდრდა ტრადიციული თანამდებობის პირების – 5 დან 24 მდე კონსულის – არჩევითობა, რომლებსაც, სხვადასხვა საარჩევნო სისტემით, ერთი წლის ვადით ირჩევდნენ. ისინი უზრუნველყოფდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ადგილობრივი მოხალისე მილიციის მეშვეობით.

ტერიტორიული და პროფესიული სახალხო კრებების მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, გაჩნდა ცალკეული სოციალური ჯგუფების წარმომადგენლობითი ორგანოებიც – საქალაქო საბჭოები. გერმანიაში წარმომადგენლობით საბჭოებად გადაიქცა საქალაქო სასამართლოები, რომლებიც მანამდე შეადგენდნენ სენიორის სათემო საბჭოს, რომელიც, ფეოდალური წესების შესაბამისად, მონაწილეობდა ბატონყმური სამართლის განხორციელებაში. XII საუკუნის ბოლოს და XIII საუსუნის დასაწყისში ასეთი საბჭოები გაჩნდა ბაზელში, სტრასბურგში, უტრეხტსა და ლუბეკში. საბჭოს წევრებს ეწოდათ მრჩევლები. ისტორიულად ასეთი საქალაქო საბჭო გახდა პირველი ორგანო ქალაქის თვითმმართველობაში. მოგვიანებით, ქალაქებში გაჩნდა ბურგომისტრის თანამდებობა. შემდეგ ბურგომისტრები ჩაანაცვლეს მოსახლეობის მიერ პირდაპირ არჩეულმა პირებმა, რომლებიც მართვაში უფრო მეტ ეფექტურობას იჩენდნენ.

**III. ჯგუფური მუშაობა.** მოსწავლეებს წინასწარ აქვთ დავალება, მოიძიონ ინფორმაციები:

**პირველმა ჯგუფმა** უნდა მოიტანოს და კლასს გააცნოს დოკუმენტი – „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, სტრასბურგი, 1985.

**მეორე ჯგუფმა** – საქართველოს კონსტიტუცია. თავი მეშვიდე. ადგილობრივი თვითმმართველობა.

**მესამე ჯგუფმა** – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ამ დოკუმენტებიდან ჯგუფები ყურადღებას ამახვილებენ და კლასს აცნობენ მნიშვნელოვან საკითხებს (კონცეფცია, კომპეტენციის სფერო).

**IV. საშინაო დავალება** – „თვითმმართველობის განვითარება საქართველოში“.

ვაკეთებთ 5-წუთიან განმარტებას, რაზე გაამახვილონ, ძირითადად, ყურადღება, ანუ როგორ მოხდა საქართველოში თვითმმართველობის განვითარება (საქართველოს მთიანეთში შემორჩენილი თემური თვითმმართველობის პირველყოფილი დემოკრატიის ტრადიციებიდან დღემდე, საქალაქო თვითმმართველობები, პრეფექტები და ა.შ.).

სასკოლო აქტივობა

# დაუვიწყარი საღამო ოფურჩხეთის საჯარო სკოლაში

საღამო, რომელიც X კლასის მოსწავლეებმა მოვაწყვეთ, დიდხანს ემახსოვრებათ ოფურჩხეთის საჯარო სკოლაში. ღონისძიების მიზეზი კომპანია „ნაპერწკლის“ პრეზენტაცია იყო.

მეათე კლასში არჩევით საგნად „მეწარმეობის საფუძვლები“ ისწავლება. სასწავლო წლის დასაწყისიდან ცოტა სკეპტიკურად ვიყავით განწყობილი ამ საგნის მიმართ. სახელმძღვანელოები არ გვქონდა, სტანდარტის შესაბამისი მასალების მოძებნა, საგნის მასწავლებელთან ერთად, სხვადასხვა წყაროების საშუალებით გვიხდებოდა, მათ შორის ინტერნეტიდანაც. შემდგომში, სხვა საპილოტე სკოლების შესაბამის პედაგოგებთან ერთად, ჩვენმა პედაგოგმაც თბილისში გაიარა ტრენინგი, ჩვენც დაგვაკვალიანა და მეტი მონდომებით შევუდექით სწავლას. რაც მთავარია, მეორე სემესტრში სახელმძღვანელოც გვექნება.

სკოლის დირექციიდან ძალიან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდით. ჩვენში გაჩნდა შინაგანი მოტივაცია, შეგვექმნა ისეთი რამ, რაც ხელს შეგვიწყობდა საგნის შესწავლაში. წამოვიდა ინიციატივა – კეთებით შეგვესწავლა საგანი. „ყველა დიდი საქმე მინი-საქმით იწყება“ – ავიტაცეთ ეს სიტყვები და შევქმენით მინი-კომპანია „ნაპერწკალი“. გვჯერა, ჩვენი საქმიანობა ისე წარიმართება, რომ „ნაპერწკლიდან ალი აინთება“.

ჩამოვაყალიბეთ კომპანიის სტრუქტურა, შევქმენით ლოგო, შევიმუშავეთ I სემესტრის სამუშაო გეგმა.

მოგეხსენებათ, 2015 წელი ქალთა წელიწადად იყო გამოცხადებული. გავითვალისწინეთ რა გენდერული თანასწორობა, მუშაობა დავიწყეთ პროექტებზე: გოგონებმა – პროექტზე „ნუგბარი“, ვაჟებმა– პროექტზე „ჩიჩილაკი“. პრეზენტაცია გახსნა საგნის „მეწარმეობის საფუძვლები“ მასწავლებელმა, კომპანიის გენერალურმა მენეჯერმა, **ნაზი არიშვილმა**, რომელმაც სწავლის პროცესში მინი-კომპანიის როლზე ისაუბრა, კომპანიის მიზანი, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები გამოკვეთა. X კლასის მოსწავლეებმა: **ვაჩე ძოწენიძემ, ლუკა ხვადაგიანმა, ბადრი ბობოხიძემ, თენგიზ ახალაძემ**, წარმოადგინეს ნაშრომები თემებზე: მეწარმეობის განვითარება; მსოფლიოს სავაჭრო ბირჟა; ბაზარი; მსოფლიოს გამოჩენილი ბიზნესმენები.

კომპანიის მუშაობა ფოტომასალით აისახა ხელნაწერ გაზეთში „ნაპერწკალი“ (რედკოლეგია: **ალეკო სოფრომაძე, ქეთევან ჯანელიძე, ბაგრატ ტუკვაძე**). კომპანიის აქციონერებმა დაამზადეს და მომხმარებლებს მიაწოდეს ფართო ასორტიმენტის ნამცხვარი და 50-მდე ჩიჩილაკი. საღამოზე გაიმართა აუქციონი.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ: დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში **ბელა დაშაევა**, ფასილიტატორი **ირინა ახალაძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ხელმძღვანელი **ციცინო ჯანელიძე-ონიანი** და სხვა პედაგოგები. კომპანიის მუშაობის პერიოდში თავსგადამხდარი კურიოზებით წარმოვადგინეთ იუმორისტული თამაში: „გააცინე და წაიღე ფული“. გადავიღეთ სამახსოვრო სურათები, დავამზადეთ ფოტოსტენდი „კეთებით სწავლა“.

კომპანიის წევრებმა გადავწყვიტეთ, მოგებული თანხა საქველმოქმედო საქმეს მოვახმაროთ.



კომპანიის მუშაობა შეაჯამა, კომპანიონებს მხარდაჭერა აღუთქვა სკოლის დირექტორმა, **მიხეილ უშვერიძემ**. კომპანიის მუშაობას და პრეზენტაციას ლაიტმოტივად თან სდევდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილიაII-ის შეგონება:

*„როცა ირწმუნებ სიტყვების ძალას*
*და ეს სიტყვები შენთვის იფრქვევა,*
*სხვებს აუხსენი და შთააგონე, რომ*
*ყველაფერი კარგად იქნება!*
*როდის იქნება? როგორ იქნება?*
*როცა სიტყვები გულში ისმება,*
*ნუ უფიქრდები უაზრო სიტყვებს,*
*ღმერთის წყალობით სულ ყველაფერი*
*კარგად იქნება!“*

***სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის***
***სოფელ ოფურჩხეთის საჯარო სკოლა***
***კომპანია „ნაპერწკალი“***
***ბლოგი:* http://sparkspar607.blogspot.com/**

# მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა...

ჯერ მხოლოდ ხუთ წელიწადს ითვლის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლა (დირექტორი – **ნანული წერეთელი**), მაგრამ უკვე ერთ-ერთ პრესტიჟულ, აქტიურ, ინოვაციების განმავითარებელ სასწავლებლად ითვლება. ხუთი წლის თავზე, 2015 წლის 1 ოქტომბერს, მართლმადიდებლურ სკოლასთან არსებული საბავშვო ბაღი გაიხსნა ერთი ჯგუფით, 3-4 წლის ასაკის ბავშვებისთვის. სკოლის ხელმძღვანელობა და პედაგოგიური კოლექტივი ცდილობს მოსწავლეთა სულიერ განვითარებას, ინტელექტის ამაღლებას, სასურველი ინტერესების გაღვივებას და განხორციელებას. ამ მიზნით სკოლაში, დაარსებიდან დღემდე, ბევრი სასკოლო, საქალაქო, რესპუბლიკური ღონისძიება ჩატარდა, სკოლა ინიციატორია უკვე მივიწყებული არა ერთი საინტერესო ტრადიციის გახსენებისა და განვითარებისა.

განსაკუთრებით დატვირთული იყო ნოემბერ-დეკემბერი. სკოლის მოსწავლეები, პედაგოგებთან ერთად, აკაკი წერეთლის საიუბილეო წლისთავისთვის მოემზადნენ. აკაკის იუბილე მთელმა საქართველომ იზეიმა. საჩხერე-ჭიათურის რაიონში გრანდიოზული ღონისძიებები ჩატარდა. 19 დეკემბერს კი მართლმადიდებლურ სკოლაში X-XI კლასების მოსწავლეებმა „მომღერალ ბულბულზე“ ისაუბრეს (ინიციატორი – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **ციური ცოცხალაშვილი**). სცენა გემოვნებით, პოეტის ცხოვრების ამსახველი სურათებით მოეწყო, აკაკის პორტრეტები, 1940 წლიდან, სხვადასხვა დროს გამოცემული საიუბილეო წიგნები, აკაკის ხელნაწერი, კედლის გაზეთი. კედლებს ამშვენებდა მოსწავლეებისაგან მიწერილი წერილები სათაურით – „წერილი მგოსანს 170 წლის შემდეგ“. ღონისძიებას ლაიტმოტივად გასდევდა სიტყვები: „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“.

გემოვნებით შერჩეულმა რეკვიზიტებმა მოხიბლა როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული სტუმრები. თეთრ პერანგებში გამოწყობილმა, მომხიბვლელმა გოგო-ბიჭებმა – **მარიამ ბარბაქაძემ, ლევან მოდებაძემ, სოფო ჭილაძემ, ნიკოლოზ კაპანაძემ, ლიზი საცერაძემ, თინათინ რუსეცკიმ** – პოეტის განვლილი ცხოვრება და შემოქმედება წარმოადგინეს. კრიტიკოსების წიგნებიდან ამონაწერ ციტატებს აკაკის ლექსებზე შექმნილი სიმღერები ცვლიდა, რომელთა ფონზე გულში ჩამწვდომად კითხულობდნენ ლექსებს: **მარიამ კაპანაძე, სანდრო მაჩიტიძე, ბარბარე მანჯავიძე, ანი კუპატაძე, ინგა ვაშაძე, ნათია ნეფარიძე**.

უფროსკლასელებს არც III[ა] კლასის მოსწავლეები ჩამორჩნენ (კლასის დამრიგებელი – **ნინო კვახაჯელიძე**). მათ ისაუბრეს აკაკის ბიოგრაფიაზე, ძიძის ინსტიტუტზე. ყველაფერს სლაიდების საშუალებით აშუქებდნენ. წაიკითხეს აკაკის ნაკვესები, წარმოადგინეს აკაკის „ყმაწვილი და პეპელა“, „მახეში გაბმული ჩიტი“, „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“, „ვანო და ფრინველები“. შემსრულებლები იყვნენ: **თეკლა გუჯაბიძე, ნიკოლოზ ჩიღუნაძე, დათო გომართელი, მარიამ ასანიძე, თეკლა წერეთელი**. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს აკაკის ბავშვობისდროინდელ თამაშებს: „ძერაობა“, „კენჭაობა“, „ლახტაობა“, გამოყვეს აკაკის საყვარელი თამაში „ბაბუას წვერები“ – თვალსაჩინოებისათვის საჩეჩელიც გვიჩვენეს და მატყლის დაჩეჩვის წესიც. ყველა ეს თამაში სპორტის მასწავლებელმა **იზა ნიქაბაძემ** შეასწავლა პატარებს.

ღონისძიებები მართლმადიდებლურ სკოლაში ამით არ დასრულებულა, კიდევ უფრო დაიტვირთა დეკემბრის მეორე ნახევარი, პირველი საფეხურის მოსწავლეებმა (დამრიგებლები: **ნანა ბურძენიძე, ნინო კვახაჯელიძე, მარიზი კომლაძე, ნანა ქავთარაძე, თამარ პეტრიაშვილი, ლია გაგნიძე, ნელი მიროტაძე, ფარიდი ბადურაშვილი**) საახალწლო ზეიმი მოუწყვეს ბავშვებს. ერთმანეთს ცვლიდნენ ფერიები, ტყის ცხოველები. წამყვანებს ჯადოსნური ჯოხით სასწაულის მოხდენა შეეძლოთ. განსხვავებულად, არატრადიციულად მიულოცა ახალი წელი მეორეკლასელებს ხელმძღვანელმა **ნანა ქავთარაძემ**. მერხებზე, რომლებსაც „ნაძვის ხის“ განლაგება მისცა, დაფენილი იყო ფიფქები, გირჩები, წვიმები. პატარების თვალები თოვლის ბაბუას ელოდებოდნენ, რომელსაც მათთვის ვარდისფერი და ცისფერი ჟურნალი მოჰქონდა. ვარდისფერ



ჟურნალში ჭკვიანი, ზრდილობიანი, სწავლას მოწყურებული ბავშვები ჩაეწერა, ხოლო ცისფერ ჟურნალში – ზარმაცი, ცელქი, ჯიუტი. თოვლის ბაბუამ ყველას ერთად მიულოცა დამდეგი 2016 წელი, უსურვა სიხარული, ჯანმრთელობა, ერთგულება, ქრისტესმიერი სიყვარული. ბოლოს კი პატარების გული საჩუქრებით გაახარა.

გაოცებული და აღფრთოვანებული დაგვტოვა სკოლის ბაზაზე ორი თვის წინათ გახსნილმა საბავშვო ბაღმა (გამგე – **მზია ლაბაძე**, აღმზრდელი – **დალი ვარდოსანიძე**). სწორედ მათზეა ნათქვამი „პური მეპურეს გამოაცხობინე და ზედმეტად 20 აბაზის გადახდა ნუ დაგენანებაო“.

ზეიმს ესწრებოდნენ: იმერეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე **პაატა ნადირაძე**, ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი **მალხაზ წერეთელი**, ქალაქის გამგებელი **სულხან მახათაძე**, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ციცქიშვილი**, არქიმანდრიტი ზოსიმე და სხვ.

თოვლის ბაბუამ პატარებს საახალწლო საჩუქრები დაურიგა, რამაც მათი დიდი სიხარული გამოიწვია.

**იამზე მარუაშვილი**
*ა(ა)იპ ჭიათურის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა*







სასკოლო აქტივობა

# როგორ შევარჩიოთ პროფესია

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მანდაეთის საჯარო სკოლაში, 2015/2016 სასწავლო წლებში, ახალი საგანი დაინერგა, რომელსაც „პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვის პროგრამა“ ჰქვია. გაკვეთილებზე მე-9 და მე-11 კლასების მოსწავლეები ვიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა პრიორიტეტების მიხედვით ავირჩიოთ პროფესია. ძირითადად, ამ პერიოდში ვიწყებთ მომავალი პროფესიის შერჩევაზე ფიქრს, პედაგოგებიც ცდილობენ, ჩვენი მოთხოვნისა და ინტერესის გათვალისწინებით, უფრო ახლოს გაგვაცნონ ესა თუ ის პროფესია.





სასწავლო წლის პირველ ნახევარში ერთ-ერთი სასწავლო აქტივობა იყო გაფართოებული შეხვედრა, რომელზეც ჩვენთვის სასურველი პროფესიის ადამიანებს უნდა შევხვედროდით. პედაგოგმა **ნინო გრძელიშვილმა** ინდივიდუალურად დაგვირიგა კითხვარები, რომელიც შევავსეთ. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას მედიცინის მუშაკთან შეხვედრა სურდა. სკოლის ადმინისტრაციის დახმარებით, შევხვდით ექიმ-პედიატრს, ქალბატონ **ლელა ბუთხუზს**, რომელთან გულახდილი და საინტერესო საუბრის შემდეგ, ბევრისთვის კიდევ უფრო სასურველი გახდა ექიმის პროფესია.

შესანიშნავი გრძნობაა, როდესაც ადამიანის დახმარება შეგიძლია და ამას აკეთებ. ეს ცხოვრების ძალას გაძლევს და კიდევ მეტის გაკეთების სურვილი გიჩნდება. ამ ყოველივეს გვერდით თითქმის უფერულდება პროფესიის სიმძიმე, რომელიც,სხვათა შორის, პირადი ცხოვრებისთვის მოუცლელობასაც გულისხმობს, – გვითხრა ქალბატონმა ლელამ.

მან რამდენიმე შემთხვევა გაიხსენა საკუთარი გამოცდილებიდან, რომელიც ჩვენთვისაც საინტერესო აღმოჩნდა. რამდენიმე რჩევაც მოგვცა, რის მიხედვითაც უნდა ავირჩიოთ პროფესია და თუ ეს პროფესია ექიმობაა: უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი საბაზისო ცოდნა და ისეთი უნარ-ჩვევები, როგორებიცაა: ადამიანებთან კომუნიკაცია, სიტუაციის სწორად შეფასება, სწრაფი რეაქცია, ჰუმანურობა და ა.შ.

შეხვედრა მეტად სასარგებლო აღმოჩნდა. ვიმედოვნებთ, ასევე საინტერესოდ ჩაივლის სხვა გაკვეთილები და სასწავლო ექსკურსიები, რომლებიც მეორე სემესტრშია დაგეგმილი.

ანი მუმლაძე
*ჭიათურის მუნიციპალიტეტის*
*სოფელ მანდაეთის საჯარო სკოლის*
*IX კლასის მოსწავლე*

ინფორმაცია

# გალა-კონცერტი წარმატებულ სკოლებს მიეძღვნა

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის საპატიო თავმჯდომარის, **ვანო ნატროშვილის** პატრონაჟით, 26 იანვარს, გაიმართა ვია „გვირილას“ საიუბილეო გალა-კონცერტი (სამხატვრო ხელმძღვანელი – **ერნა წიფურია**).

გალა-კონცერტში, სპეციალური მოწვევით, მონაწილეობდნენ შოპენის სახელობის ნორჩ პიანისტთა IV კონკურსის ლაურეატი **სანდრო გეგეჭკორი** (პედაგოგი – ასოცირებული პროფესორი **ალექსანდრე გარბერი**) და **გიორგი გიგაშვილი** (პედაგოგი – ემერიტუსი **რევაზ თავაძე**). გალა-კონცერტი მიეძღვნა საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად, გარდამავალ პერიოდში, გამოვლენილ საუკეთესო სკოლების დირექტორებს, ღირსების ორდენის კავალრებს – **ნანა მერაბიშვილს** და **სვეტლანა შალვაშვილს**, დედოფლისწყაროს პირველ და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლებს, რომლის დირექტორები არიან **ეთერ ოთარაშვილი** და **ნელი საბიაშვილი-აფციაური**. ამის შესახებ ვრცელი ინფორმაციები დაიბეჭდა გაზეთ „შირაქში“ და „საქართველოს ლირიკაში“.

პროექტის ინიციატორი და ორგანიზატორი – დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე **ნანა ჭიჭინაძე**, პროექტის მხარდამჭერი – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი**.

ვია „გვირილას“ ნორჩ ვოკალისტებს დამსწრე საზოგადოება ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოებდა. უდიდესი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭეს მსმენელებს სანდრო გეგეჭკორის და გიორგი გიგაშვილის მიერ შესრულებულმა ფრიდრიხ შოპენის, რევაზ ლაღიძის და ვაჟა აზარაშვილის საფორტეპიანო ნაწარმოებებმა.

სიურპრიზი იყო „საუკუნის ლეგენდის“ – მედეა ამირანაშვილის ქალიშვილის, **მარინე ფარულავას** მიერ როიალზე აჟღერებული სულხან ცინცაძის მუსიკა კინოფილმიდან „ჭრიჭინა“. ფილმში „ჭრიჭინა“ სიმღერას მედეა ამირანაშვილი ასრულებს.

დიდთოვლობის გამო დედოფლისწყაროს პირველი და ხორნაბუჯის საჯარო სკოლებიდან ვერ ჩამოვიდნენ სკოლის დირექტორები და წამყვანი პედაგოგები, ვისთვისაც მოეწყო ეს ბრწყინვალე საღამო, მაგრამ პედაგოგების ნაწილმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის განათლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარემ, **მაყვალა მაძღარაშვილმა** მაინც მოახერხეს ჩამოსვლა. წარმატებული სკოლების სახელით, ქალბატონმა მაყვალამ მადლიერება გამოხატა პროექტის ორგანიზატორის, ნანა ჭიჭინაძის მიმართ და აღნიშნა: *„გასული წლის აპრილში ქალბატონმა ნანამ, ხელოვნების სკოლაში, საზეიმო შეხვედრა მოუწყო დედოფლისწყაროს პირველ და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლებს, მათ პატივსაცემად სპეციალურად მოიწვია კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტები, პედაგოგ* ***დოდო დიასამიძის*** *და კომპოზიტორ* ***ნანა მიქაბერიძის*** *ხელმძღვანელობით. დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, კვლავ მათ პატივსაცემად, ბრწყინვალე გალა-კონცერტი გაიმართა. ჩემთვის დიდი პატივი იყო პირადად შევხვედროდი საქართველოს სახალხო მხატვარს, შოთა რუსთაველისა და დავით კაკაბაძის პრემიის ლაურეატს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, სამხატვრო აკადემიის პროფესორს, „მეტრის“ ნომინანტს, ხელოვნების რაინდის წოდების მფლობელს, ბატონ* ***გივი თოიძეს****; კომპოზიტორს, რუსთაველის, ფალიაშვილის, გოგებაშვილის პრემიების ლაურეატს, საერთაშორისო კონკურსების პირველი პრემიის ლაურეატს, პროფესორს, თბილისის, ბორჯომის, ახალციხის, ხობის საპატიო მოქალაქეს, „მეტრის“ ნომინანტს, ხელოვნების რაინდის წოდების მფლობელს, საქართველოს სახალხო არტისტს, ბატონ* ***ვაჟა აზარაშვილს****; ქართული ცეკვის გენიას, საქართველოს სახალხო არტისტს, ეროვნული პრემიის ლაურეატს, ქართული კულტურის რაინდის წოდების მფლობელს, ბატონ* ***ომარ მხეიძეს****; ცნობილ პოეტებს –* ***ნანა ცინცაძეს*** *და* ***ნანი საბანაძეს****; ოპერის კაშკაშა ვარსკვლავს, „საუკუნის ლეგენდის“ ნომინანტს, ხელოვნების ქურუმის მფლობელს, საბჭოთა კავშირის და საქართველოს სახალხო არტისტს, ფალიაშვილის პრემიის ლაურეატს, ქალბატონ* ***მედეა ამირანაშვილს****, ასევე კონსერვატორიის პროფესორებს –* ***ალექსანდრე გარბერს*** *და* ***რევაზ თავაძეს****.“*

ნანა ჭიჭინაძის მიმართ არაერთხელ გაისმა საქებარი სიტყვები. გივი თოიძემ აღნიშნა: *„ქალბატონმა ნანამ ტრადიციად აქცია ყოველწლიურად სხვადასხვა სფეროში ნომინანტების გამოვლენა და მათ პატივსაცემად ბრწყინვალე გალა-კონცერტის გამართვა, დღევანდელი საღამოც ხომ ამის დასტურია. დედოფლისწყაროდან იწყება ახალი წელი, ეს ამ საღამომ ნათლად დაგვანახა. დიდი ხანია არ მომისმენია ბავშვების წკრიალა ხმები, ეს ანგელოზები ქართული სიმღერების უბადლო შემსრულებლები არიან, ქალბატონმა ერნამ ნაზი ფერიებით მოგვინუსხა... ეს ჩვენი ხვალინდელი დღეა. ჩვენი მომავალი!“*

ვაჟა აზარაშვილის გულში ჩამწვდომი მუსიკა კინოფილმიდან „მზე შემოდგომისა“ შემოგვთავაზა ნიჭიერმა კომპოზიტორმა **გოგი შავერზაშვილმა;** თავად ბატონმა ვაჟამ ჩვეული მომხიბვლელობით შეასრულა რამდენიმე ცნობილი სიმღერა როიალზე, მათ შორის „დინამო! დინამო! დინამო!“. ვმღერით ყველა – თქვა კომპოზიტორმა და ეს საოცარი ჰანგები მოეფინა ეროვნული ბიბლიოთეკის დიდებულ დარბაზს.

პროექტის ორგანიზატორმა ნანა ჭიჭინაძემ ულრმესი მადლობა გადაუხადა კონცერტის ყველა მონაწილეს, დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილების თითოეულ თანამშრომელს, გენერალურ დირექტორს **გიორგი კეკელიძეს**, ნორჩ თაობას რომ დაუთმეს დარბაზი და თავიანთი მოკრძალებული შემოქმედების ფართო აუდიტორიისთვის გაცნობის შესაძლებლობა მისცეს.

მარიკა პოპიაშვილი

# „ხმალი ავლესოთ ქართველებო, ხმალი ავლესოთ“

ამ საქვეყნოდ განთქმული სიმღერით დაიწყო ცნობილი ქართველი პოეტისა და მხატვრის, ტექსტის ავტორის, **თინათინ მღვდლიაშვილის** შემოქმედებითი საღამო 21 იანვარს, ახმეტელის თეატრში, რომელსაც ცნობილი პოეტები, მხატვრები, საზოგადო მოღვაწეები და საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შემოქმედებით საღამოს უმასპინძლეს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის და აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ წევრებმა.

მოეწყო წიგნის „საკანი №7“ პრეზენტაცია. აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდებმა წარმოადგინეს ინსცენირება თინათინ მღვდლიაშვილის ახალი წიგნიდან და მხატვრულად წაიკითხეს პოეტის ცნობილი ლექსები.

**ლუკა მახარაშვილი**, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის წევრი: *„ძალიან მიყვარს ჩემი უფროსი მეგობრის, თინათინ მღვდლიაშვილის სიმღერად ქცეული ლექსები და ბედნიერი ვარ, რომ მისი ახალი წიგნის პრეზენტაციის მონაწილე ვარ. ბევრი ლექსი ვისწავლე ზეპირად, საღამოზე კი „საგალობელი სამებას“ წავიკითხე. მსურს, მალე დავბრუნდე აფხაზეთში და ქალბატონი თინათინი სტუმრად წავიყვანო ჩემს მშობლიურ სახლში, სოხუმში.“*

**ელენე კოპალიანი**: *„ქალბატონი თინათინი პირველად უწმინდესისა და უნეტარესის დაბადების დღისადმი მიძღვნილ გამოფენაზე „ჩვენ ვხატავთ მშვიდობას“ გავიცანი, სადაც „სიყვარულის სიმფონია“ წაიკითხა და თავისი წიგნი მაჩუქა სამახსოვროდ. მანამდე არც ვიცოდი, რომ ჩემი საყვარელი სიმღერები თურმე მისი დაწერილი ყოფილა. მეც მიყვარს ჩემი სამშობლო და ძალიან მინდა, როცა გავიზრდები კარგი ლექსები დავწერო.“*

**ლიზი ზარანდია:** *„მე ქალბატონ თინათინს გალაკტიონის ლექსზე შექმნილი სიმღერა „მზეო თიბათვისა“ ვუმღერე და დავინახე, როგორ მოადგა თვალზე ცრემლი.*

*მსურს, მალე დავბრუნდეთ სოხუმში და იქ მოვუწყოთ ჩვენს საყვარელ პოეტსა და მხატვარს დღევანდელზე უკეთესი შემოქმედებითი საღამო, სადაც მას, ჩემს აფხაზ თანატოლებთან ერთად, სიყვარულით შევხვდებით.“*

*„საქართველოს ეროვნული მოძრაობის მტრებმა დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენს ქვეყანას, თუმცა ვერც ჩვენი სამშობლო დააჩოქეს და ვერც ქალბატონი თინათინის სულიერი გატეხვა შეძლეს. ის ნამდვილად სახალხო პოეტია და მეტი დაფასება სჭირდება. ვუსურვებ, ერთიანი და ძლიერი საქართველოს სიყვარულით გამთბარი ლექსებითა და ნახატებით, კვლავაც ბევრჯერ გაგვეხარებინოთ.“* – აღნიშნა **ნუგზარ მგალობლიშვილმა**, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ.

თინათინ მღვდლიაშვილის ლექსებზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს: აფხაზეთის №1 სახელოვნებო სკოლის აღსაზრდელებმა: **ელენე კოკაიამ**, **ლიზი ზარანდიამ**, პედაგოგმა **თეონა ჯგერენაიამ** და სხვებმა.



ღონისძიების დასასრულს სამახსოვრო სურათები გადაიღეს. საყვარელ პოეტსა და მხატვარს შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს აფხაზეთის საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ნონა ბერაია
*აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის*
*მთავარი სპეციალისტი*

# სპორტული ცხოვრების პოეტური შტრიხები

ანა ფირცხალაიშვილი

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის კურსდამთავრებულები, ათეული წლების განმავლობაში, წარმატებით ასპარეზობდნენ მსოფლიოს სპორტულ არენაზე, ოლიმპიურ შეჯიბრებებზე თუ მსოფლიო ჩემპიონატებზე. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, მეორე წელია, რაც აღდგა მისი ფუნქციონირება, ახლა უკვე ახალი სახელწოდებით – ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

ამჯერად, ჩვენი მიზანი არ არის მისი პირდაპირი დანიშნულების შესახებ საუბარი. გვინდა უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრების შემოქმედებით მხარეზე, კერძოდ, პოეზიის იმ ერთი საღამოს შესახებ გესაუბროთ, რომლის ორგანიზატორიც ქართული ენის პედაგოგი, პროფესორი **მანანა გოშაძეა** და რომელმაც სასიამოვნოდ გააკვირვა და აღაფრთოვანა დამსწრე საზოგადოება.

მანანა გოშაძე: *„მოგეხსენებათ, ჯერჯერობით, მხოლოდ ორი ფაკულტეტი ფუნქციონირებს უნივერსიტეტში.* ***ირაკლი გველესიანი*** *მეორე კურსზეა, მწვრთნელთა ფაკულტეტზე და ჯერ კიდევ შარშანწინ ვიცოდი, რომ ლექსებს წერდა.* ***ლაშა წიკლაური*** *კი სამედიცინო რეაბილიტაციის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია და შესაბამისად, შარშან გავიცანი. პირველივე ლექციაზე სტუდენტებს ერთგვერდიანი ნებისმიერი ტექსტის დაწერა ვთხოვე, რომ გამეგო, რა დონის ჯგუფი იყო. შემდეგ ლექციების კურსსაც შესაბამისად წარვმართავდი. ერთმა სტუდენტმა,* ***სალომე მოდებაძემ****, მკითხა – შეიძლება ლექსი დავწეროოო? რა თქმა უნდამეთქი, ვუპასუხე და ვთხოვე წაეკითხა კიდეც, რის დაწერასაც აპირებდა. მშვენიერი ლექსი წაგვიკითხა. რომ შევაქე, მიპასუხა – ერთი ჩვენი ჯგუფელი უკეთეს ლექსებს წერსო და ლაშაზე მიმითითა, საუბარი გაგრძელდა და აღმოჩნდა, რომ ერთ სტუდენტს კონსერვატორიაში სურდა ჩაბარება და გიტარაზე უკრავს, მეორე – გალობს, მესამე – ლექსებს წერს და ა.შ. იქვე გადავწყვიტეთ პოეზიის საღამო ჩაგვეტარებინა, იდეა ყველას მოეწონა. ძალიან მალე, თეატრალური უნივერსიტეტის მეტყველების პედაგოგის, პროფესორ* ***იურა ფოფხაძის*** *დახმარებით, რეპეტიციებიც დავიწყეთ. დიდი ხალისითა და მონდომებით მიუდგნენ სტუდენტები საღამოსათვის მზადებას. სულ ოთხი თუ ხუთი რეპეტიციის შემდეგ, უკვე მზად იყვნენ საღამოს გასამართად. დასანანი ის იყო, რომ სალომემ ვერ მიიღო მონაწილეობა – ევროპის ჩემპიონატზე გამოდიოდა კარატეში და II ადგილი აიღო. ვერც თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებმა წაიკითხეს თანატოლების ლექსები, როგორც ეს ჩაფიქრებული გვქონდა, მათი გამოცდები დაემთხვა იმ პერიოდს.“*



საღამო მხოლოდ ირაკლისა და ლაშას პოეზიას დაეთმო. დარბაზი სავსე იყო მათი ახლობლებით, უნივერსიტეტის სტუდენტებით, საღამოს ესწრებოდნენ: უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **გურამ ძაგანია**, სპორტისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი **თამაზ ვასაძე**, ორივე ფაკულტეტის დეკანები. ბატონმა გურამმა ყველას სახელით მიულოცა ახალგაზრდებს პოეზიაში გადადგმული პირველი ნაბიჯები, რის დასტურადაც სიგელები გადასცა და მომავალში პროფესიულ კარიერაშიც წარმატებები უსურვა.



## ლაშა წიქლაური

* * *

მინდა, სულ გიყვარდე, იცი? მინდა, სულ მნატრობდე მარად,
ერთხელ შემიყვარდი, იცი? და მე სულ მიყვარხარ, ახლაც,
ვიცი ოცნებაა დიდი, ვიცი ოცნებაა მკრთალი,
მე კი მის ახდენას ველი, მჯერა, ჩამომივლის სახლთან.
შენი ერთი კოცნაც მყოფნის. ირგვლივ ყველაფერს რომ ვკარგავ.
შენი ჩახუტებაც კმარა. გულში რომ მედები ვალად.

* * *

ფიქრების ზღვაში ისევ მივცურავ, ვიღლები, მაგრამ ვერ გავჩერდები.
გვერდით არავინ აღარ მომყვება და ვიცი,
ამ ტალღებს ვერ გადავურჩები.
ტალღა პირველი – მამის სიკვდილი;
როგორღაც ვცდილობ გადავიარო,
ვისუნთქავ ღრმად და მთელი ფილტვებით ვცდილობ,
სიკვდილზე აღარ ვიფიქრო.
ტალღა მეორე – აი, ის გოგო ჩემზე უკეთ რომ იცოდა ცურვა,
მაგრამ მას უკვე აღარ ვჭირდები, ხოდა ამ ტალღას გადავურჩები.
მივცურავ კვნესით, ვტირი და ვნატრობ, დედასთან მინდა,
მისი მკერდი რომ მათბობს.
სადა ვარ? არავინ არაფერს ამბობს,
ფიქრების ზღვაში ვიხრჩობი მარტო.



## ირაკლი გველესიანი

* * *

წვიმის წვეთებში მესმის ნოტები
და მოგონებებს ვუკრავ სასუნთქარს,
ამ ჭიქას დავლევ, მერე მოვკვდები,
ვერვინ გაიგებს, ქვეყნად რა მსურდა.
ქარის ხმაურში მესმის ჰანგები,
არა, არც ისე ბევრი დავლიე,
ალბათ, ვლოთდები ან გავლოთდები,
თუ ეს სიცოცხლე მარტომ გავლიე...

* * *

მინდა მყავდეს ტურფა ქალი ლამაზი და მშვენიერი,
ჩემთან ყოფნით და ცხოვრებით იყოს ძლიერ ბედნიერი,
მერე მასთან მინდა შვილი, არ ვიჯავრებ, იყოს გოგო,
ოღონდ დედას დაემსგავსოს და უყვარდეს მამა ოღონდ,
მერე კიდევ ორი ვაჟი, გვარს ხომ უნდა გაგრძელება,
მერე მათი შვილები და ბაბუა კი დაბრძენდება,
ბრძენ ბაბუას მომაკითხონ, როცა გახდნენ საცოლონი,
ერთი ორი რჩევა მკითხონ, დავულოცო სადედონი,
მერე? წყნარად მივიცვალო, ზარი ითქვას სვანთა მხრიდან,
დამილოცონ მონაგარი – ასე კარგად იყოს, მინდა.

* * *

ოქტომბრის თვეში წვიმის დგას თქეში,
მარტივი რითმით ვაწყობ სტრიქონებს,
შენ კი დაძრწიხარ ურცხვად ფიქრებში
და რა სადარდელს აღარ მიგონებ.
თხელი გაცვია მომაისურო
და შავ დალალებს ყურს უკან იწევ,
რამდენჯერ გთხოვე, შე უნამუსო,
ნუ მიწრიალებ გულსა და ფიქრებს.
მაღალი ყელით წაიმეტიჩრებ,
ჩამივლი წინ და მიტოვებ სურნელს
და ახლა ვხვდები, რითი მაგიჟებ,
შენ, მთების შვილი, პატარა სულელს.
სარკმლის კუთხეში გამოჩნდა სხივი,
მეც ვიფიქრე, რომ მზე ამოვიდა,
თურმე შენ დგახარ და ისე მიმზერ,
ველარ მივმხვდარვარ, რა მომივიდა.
არ ვიცი, რა მჭირს, მზესაც გადარებ,
მე მგონი, ცდებმა შენმა ამართლა,
მე შემიყვარდი და ისევ ისე
გულიდან გრძნობამ გამოანათა.

წიგნის თარო

# მიმდინარეობს ხელმოწერა

## მასწავლებლის ბიბლიოთეკა



პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.



წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

**თითოეულის ფასი – 7,30 ლარი**



**თამაზ ვასაძე**
**ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის**
4 ლარი

დიოგენე



ნატა ახმეტელი,
ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკო მურღულია

**ისტორია**
ტესტები ეროვნული გამოცდისთვის
~~9~~ ლარი 8 ლარი

**ისტორია**
თეორიული საკითხები და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის
~~6~~ ლარი 5 ლარი



ქეთევან ტატიშვილი, ზურაბ ბერაია
**ფიზიკა**
თეორიული საკითხები
და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის
~~8~~ ლარი 7 ლარი



ფასი – 15 ლარი

**შოთა რუსთაველი**
**ვეფხისტყაოსანი**
**ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია**
სერიიდან
ინტელექტი სკოლას







წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი



*სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში*

10 ლარი

## საყმაწვილო ენციკლოპედია

*თითო ტომის ფასი 12 ლარი*

| | |
|---|---|
| ავტომობილი | ვიკინგები |
| სამურაი | ფიზიკა |
| უდაბნო | ახსნილი და აუხსნელი |
| გამოგონებები | ფენომენები |
| განძის ძიება | კოშკები და ცათამბჯენები |
| გლადიატორები | უძველესი ადამიანები |
| დრო და კალენდარი | მათემატიკა |
| ძველი ეგვიპტე | ძველი რომი |
| ევროპა | ძველი საბერძნეთი |



**რა არის რა**

**აქცია**

**გთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად. პირველი 10 ხელმომწერი თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 7 ლარად მიიღებს.**


ამინდი


არქიტექტურა


კრიმინალისტიკა


ჯანსაღი კვება


მთები


ოლიმპიური თამაშები


მეკობრეები


ქიმია


ხალხთა დიდი გადასახლება


მეცნიერებები

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

# თემატური პლაკატები

## დაწყებითი კლასებისთვის

*ფორმატი A2 (42X59.4 სმ)*

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. ბოსტნეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქში
24. სოფელში
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

2.90 ლარი

## მაღალი კლასებისთვის

*ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)*

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

## მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

4 ლარი

## რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საქანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

დემეტრე ომარაშვილი 6 წლისაა, სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობარ-თუხუცესის“ პირველ კლასში სწავლობს. გაკვეთილების შემდეგ, სკოლიდან შინ რომ ბრუნდება, ჯერ გაკვეთილებს ამზადებს, შემდეგ კი საყვარელ საქმიანობას იწყებს — პლასტილინით სხვადასხვა ფიგურებს ძერწავს. ხელოვნების პატარა ნიმუშები, რომლებსაც დემეტრე ქმნის, ფერადოვანი და სახალისოა, იგრძნობა ბავშვური ხედვა და ფანტაზია.

პატარა „მოქანდაკე“ არქიტექტორობაზე ოცნებობს, თუ ოცნება აუსრულდა, პროფესიის პარალელურად, ალბათ, არც საყვარელ საქმიანობას უღალატებს და ქანდაკება მისი ჰობი იქნება.



















მასალა მოამზადა ნანა ჭიჭინაძემ


წიგნის თარო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული



**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო



**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ერთვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული



კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი



2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.**

**კალენდარს ახლავს** პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს თავმოყრილი... განთავსებული.

5,50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023



ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

**რედაქციის საბანკო რეკვიზიტები:** შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X


CMYK